

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პუნქტების მოთხოვნების შესაბამისად

Moore Stephens abc, LLC
6 Marjanishvili Str. 0102, Tbilisi,
Georgia

T +995 32 2 000 123

E info@moorestephens.ge

www.georgia.moorestephens.com

შპს მისო ლიდერკრედიტის პარტნიორებს და ხელმძღვანელობას

ჩვენ გამოვთქვით მოდიფიცირებული მოსაზრება შპს მისო ლიდერკრედიტის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2019 წლის 14 ივნისს, რომელიც მოიცავდა 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ ფინანსურ პერიოდს. აუდიტირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს იმ მოვლენებს, ინფორმაციასა და მათ შედეგებს, რომლებიც ცნობილი გახდა ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ. მმართველობის ანგარიშგებაში აღწერილი მოვლენები, ინფორმაცია და მათი შედეგები, რომლებიც ცნობილი გახდა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ, არ არის ჩვენ მიერ აუდიტირებული.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი ვალდებულებაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ 2019 წლის 6 სექტემბერს წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედრილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- იმ ფინანსური წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, თანხვედრაშია ამავე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

მიხეილ აბაიძე

6 სექტემბერი 2019 წელი

საქართველო, თბილისი

ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-320544

აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-865011

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პუნქტების მოთხოვნების შესაბამისად

Moore Stephens abc, LLC
6 Marjanishvili Str. 0102, Tbilisi,
Georgia

T +995 32 2 000 123
E info@moorestephens.ge

www.georgia.moorestephens.com

შპს მისო ლიდერკრედიტის პარტნიორებს და ხელმძღვანელობას

ჩვენ გამოვთქვით მოდიფიცირებული მოსაზრება შპს მისო ლიდერკრედიტის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2019 წლის 14 ივნისს, რომელიც მოიცავდა 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ ფინანსურ პერიოდს. აუდიტირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს იმ მოვლენებს, ინფორმაციასა და მათ შედეგებს, რომლებიც ცნობილი გახდა ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ. მმართველობის ანგარიშგებაში აღწერილი მოვლენები, ინფორმაცია და მათი შედეგები, რომლებიც ცნობილი გახდა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ, არ არის ჩვენ მიერ აუდიტირებული.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი ვალდებულებათა, გამოვთქვით მოსაზრება კომპანიის მიერ 2019 წლის 6 სექტემბერს წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედრილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- იმ ფინანსური წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, თანხვედრაშია ამავე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.


მიხეილ აბაიაძე


6 სექტემბერი 2019 წელი

საქართველო, თბილისი

ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-320544

აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-865011





ლიდერ
კრედიტი

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია

მმართველობითი ანგარიშგება

საქმიანობის მიმოხილვა

მისო „ლიდერ კრედიტი“ დაარსდა 2011 წელს. ამავე წელს ეროვნული ბანკის მიერ მიენიჭა მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სტატუსი და დღემდე წარმატებით ახორციელებს ფინანსურ საქმიანობას. კომპანია მომხმარებლებს სთავაზობს ბიზნეს, იპოთეკურ, აგრო და სალომზარდე სესხებს, ფულად გზავნილებს, სავალუტო ოპერაციებს, საბიუჯეტო-კომუნალურ გადარიცხვებს.

კომპანია თავიდან მხოლოდ ორი ფილიალით იყო წარმოდგენილი. მომსახურების მაღალმა ხარისხმა და კონკურენტუნარიანმა პირეობმა რომელიც შექმნილია ჩვენ კომპანიაში განაპირობა კლიენტების ზრდა, რამაც მოითხოვა ქსელის გაფართოება, როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში.

2013 წლის აპრილში, რეორგანიზაციის შედეგად, მოხდა ასევე წარმატებულ მიკროსაფინანსო ორგანიზაციის „რეალკრედიტთან“ შერწყმა.

2015 წლის მარტში, ჟენევაში, ორგანიზაცია „BID“-ის „Business Initiative Directions“ მიერ გადაეცა ოქროს ჯილდო განვითარებისა და მომსახურების ხარისხისათვის, ხოლო 2015 წლის დეკემბერში – ბრილიანტის. 2016 წელს, „Business Initiative Directions“-მა (BID) ლიდერობის, ხარისხის, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების შეფასებითი კრიტერიუმების გათვალისწინებით მიენიჭა ჯილდო – „2016 International Quality Summit Award“.

2017 წელს „ლიდერ კრედიტმა“ დაარსა შვილობილი კომპანია შპს ლიდერ ინვესტი. „ლიდერ ინვესტის“ ძირითადი საქმიანობა ფიზიკური და იურიდიული პირების დაკრედიტებაა.

2018 წელს ლიდერკრედიტმა მომხმარებელს შესთავაზა კონკურენტული პროდუქტი სალომზარდე მიმართულებით Lc 1.5, რომლის საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 1.5%-ს თვიურად.

2018 წელს საფინანსო ბაზარზე სესხის აღების პროცედურის გამკაცრების პარალელურად ლიდერ კრედიტმა შეძლო პორტფელის მოცულობის შენარჩუნება.

„ლიდერ კრედიტის“ სათაო ოფისი თბილისში მდებარეობს. კომპანია ასევე წარმატებით არის წარმოდგენილი რუსთავეში, ბათუმსა და მარნეულში. ამჟამად საქართველოს მასშტაბით „ლიდერ კრედიტის“ 8 ფილიალი ფუნქციონირებს, რომლებიც მომხმარებლებს 24 საათიან რეჟიმში ემსახურებიან. ლიდერ კრედიტის ძირითადი მიმართულება ფიზიკური და იურიდიული პირების დაკრედიტებაა.



ლიდერ კრედიტი არის ფინანსური ინსტიტუტი, რომელიც: აძლევს კლიენტს შეუზღუდავ შესაძლებლობას, მიაღწიოს წარმატებას მისი პირადი თუ ბიზნეს განვითარების ნებისმიერ საფეხურზე.

ჩვენი მისიაა დავაკმაყოფილოთ მიკრო და მცირე მეწარმეების ფინანსური მოთხოვნილებები, დავაფინანსოთ ბიზნესი, როგორც მიმდინარე აქტიურ, ისე საწყის ეტაპზე და ვიყოთ მათი საიმედო ფინანსური პარტნიორი.

ლიდერ კრედიტის“ მისია არის მუდმივი სწრაფვა განვითარებისკენ

მიკროსაფინანსოს ძირითადი მაჩვენებლები

2018 წელი ერთ-ერთი წარმატებული წელი იყო „ლიდერ კრედიტისთვის“. 2018 წლის ჯგუფის მოგებამ შეადგინა 5 661 390 ლარი, რაც 78%-ით მეტია 2017 წლის მაჩვენებელთან შედარებით. ასევე შენარჩუნებულია ზრდის ტენდენცია მთლიან აქტივებშიც. 2018 წლის მთლიანმა აქტივებმა შეადგინა 29 887 832 ლარი, რაც 14%-ით მეტია წინა წლის მაჩვენებელზე. გაცემული სესხების მოცულობა წინა წელთან შედარებით შემცირებული 2%-ით. ეს ძირითადად გამოწვეულია ახალი რეგულაციებით. რომლის მიხედვითაც სესხის გაცემა შესაძლებელი გახდა მხოლოდ ლარში, აიკრძალა ჯგუფური სესხების გაცემა, შეიზღუდა გაცემული სესხის თანხა 100 000 ლარამდე. 2018 წლის მთლიანმა ვალდებულებებმა შეადგინა 8 804 327 ლარი. ამ მხრივაც მონაცემები წინა წელთან შედარებით გაუმჯობესებულია 18%-ით (შემცირებულია). ასევე გვაქვს კაპიტალში 37% იანი ზრდა (2018წ - 21 183 505 ლარი), რაც განპირობებულია დივიდენდის განაწილებაზე უარის თქმით და მიღებული მოგების კაპიტალში რეინვესტირებით.

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

	დასრულებული წლისთვის (ლარი)		
	31-დეკ-18	31-დეკ-17	31-დეკ-16
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	5 380 778	5 295 198	4 068 028
წლის მოგება	5 661 390	3 178 674	2 447 693
მთლიანი აქტივები	29 887 832	26 186 716	23 722 455
გაცემული სესხები	21 317 653	21 717 194	20 750 345
მთლიანი ვალდებულებები	8 804 327	10 764 601	11 479 014
მთლიანი კაპიტალი	21 183 505	15 422 115	12 243 441



სამომავლო გეგმები

კომპანიის სამომავლო გეგმები ზრდას და განვითარებას უკავშირდება. აქტიურად განიხილება სასესხო პორტფელის შექმნა ბაზარზე არსებული სხვა მიკროსაფინანსო ორგანიზაციებიდან და ლომბარდებიდან. ასევე მნიშვნელოვანია მომსახურების ხარისხის მუდმივი კონტროლი და კარდების კვალიფიკაციის ზრდა.

ბაზარზე შემოსულმა ახალმა რეგულაციებმა, კერძოდ კანონმა ფიზიკური პირების დაკრედიტების შესახებ (ძირითად ნაწილში სამომხმარებლო სესხების ნაწილში) გამოიწვია კომპანიის პრიორიტეტების შეცვლა დაკრედიტების კუთხით და კონცეპტრაცია გარკვეული ტიპის სესხებზე, კერძოდ: ბიზნეს სესხები, ავტო და ოქროს ლომბარდები. ეს სამი მიმართულება არის კომპანიისთვის პრიორიტეტი და სწორად ამ ხაზების განვითარებას ცდილობს. ავტო ლომბარდი კომპანიისთვის სრულიად ახალი პროდუქტია, რომელიც 2019 წლიდან გაიშვება და პროგნოზირებულია სასესხო პორტფელის საკმაოდ სწრაფი ტემპით ზრდა.


ძალაში შევიდა მრავალი საკანონმდებლო ცვლილება მიკროსაფინანსო და ლომბარდების საქმიანობასთან დაკავშირებით. აღნიშნულის გათვალისწინებით ბზარის ანალიზი აჩვენებს რომ ბევრი მიკროსაფინანსო ორგანიზაცი და ლომბარდი დატოვებს ბაზარს, რაც გარკვეულ წილად გახდება ჩვენი კომპანიისთვის შესაძლებლობა, რომ შემოიერთოს მსგავსი სასურველი კომპანიები და ამით ბაზარზე გაიმყაროს პოზიციები.

კვლევები და გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ღონისძიებები

2018 წლის მდგომარებით კომპანიას არ ჩაუტარებია კვლევები. გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ღონისძიებები არ ჩატარებულა.

ინფორმაცია კომპანიის ფილიალების შესახებ

საქართველოს მასშტაბით “ლიდერ კრედიტის” 8 ფილიალი ფუნქციონირებს, რომლებიც მომხმარებლებს 24 საათიან რეჟიმში ემსახურებიან. კომპანიის პროდუქტებით, როგორიცაა: სესხები, ფულადი გზავნილები, საკონვერტაციო ოპერაციები, საბიუჯეტო/კომუნალური გადარიცხვებით დაახლოებით 100 000-მდე მომხმარებელი სარგებლობს. ყოველწლიურად ეს რიცხვი იზრდება.



2018 წლის მდგომარეობით ფუნქციონირებს „ლიდერ კრედიტის“ შემდეგი ფილიალები:

N	ფილიალის დასახელება	რეგიონი	ქალაქი/რაიონი	მისამართი
1	ცენტრალური (თამარ მეფე) ფილიალი	თბილისი	თბილისი	თბილისი, თამარ მეფის 11
2	ვარკეთილის ფილიალი	თბილისი	თბილისი	თბილისი, ჯავახეთის 32
3	გლდანის პლაზას ფილიალი	თბილისი	თბილისი	თბილისი, ვეკუას 14
4	გლდანის ფილიალი	თბილისი	თბილისი	თბილისი, ახმეტელის მიმდებარე ტერიტორია
5	სამგორის ფილიალი	თბილისი	თბილისი	თბილისი, მოსკოვის გამზირი 2ა
6	ბათუმის ფილიალი	აჭარა	ბათუმი	ბათუმი, წერეთლის 4
7	რუსთავის ფილიალი	შიდა ქართლი	რუსთავი	რუსთავი, ლეონიძის მიმდებარე ტერიტორია
8	მარნეულის ფილიალი	შიდა ქართლი	მარნეული	მარნეული, რუსთაველის 49 ა

ინფორმაცია პროდუქტების შესახებ

2018 წელს განხორციელდა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები შეიზღუდა ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ზედა ზღვარი 50%-მდე. აიკრძალა ფიზიკური პირებისთვის სესხების უცხოურ ვალუტაში გაცემა, აიკრძალა ჯგუფური სესხების გაცემა. დადგინდა მაქსიმალური სესხის თანხის ლიმიტი 100 000 ლარის ოდენობით. ამავე საკანონმდებლო ცვლილებებით საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მიიღო უფლებამოსილება სრული ზედამხედველობა გაუწიოს არასაბანო ორგანიზაციების საქმიანობას. მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ლიდერკრედიტიმ მყისიერად აუწყო ფები ახალ რეგულაციებს და მომხმარებლებს შესთავაზა მათზე მორგებული ოპტიმალური პროდუქტები, რომლებიც კანონმდებლობის სრული დაცვით გაიცემა.

დღეისთვის მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ლიდერ კრედიტი სთავაზობს მომხმარებლებს სესხების სხვადასხვა მიზნობრიობისთვის. მისო ლიდერკრედიტი გასცემს სესხებს როგორც სამომხმარებლო მიზნობრიობით, ასევე ბიზნესის განსავითარებლად

იპოთეკური სესხები - სარგებლობენ რეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე, ფლობენ და შეუძლიათ სესხის უზრუნველსაყოფად წარმოადგინონ უძრავი ქონება;

ბიზნეს სესხები - სარგებლობენ რეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე, ფილიალების 50 კმ-იან რადიუსში ეწევიან სამეწარმეო საქმიანობას (ვაჭრობა, წარმოება, მომსახურება).

აგრო სესხები - სარგებლობენ რეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე, ფილიალების 100 კმ-იან რადიუსში ეწევიან აგრო საქმიანობას (მეცხოველეობა, მებაღეობა).

ტურბო სესხები - სარგებლობენ რეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე, ფილიალების 20 კმ-იან რადიუსში ეწევიან სამეწარმეო საქმიანობას (ვაჭრობა, წარმოება, მომსახურება), აქვთ აგრო მეურნეობა ყოველთვიური შემოსავლით, ხელფასი, გაქირავებიდან შემოსავალი ან გზავნილები; აქვთ მინიმუმ 1 წლიანი განსაკუთრებულად კარგი საკრედიტო ისტორია (A,B,C ან D)

ოქროს ლომბარდი - სარგებლობენ რეზიდენტი ფიზიკური პირები, რომელთაც შეუძლიათ სესხის უზრუნველსაყოფად წარმოადგინონ ოქროს ნივთები.

მისო ლიდერ კრედიტი საიმედო პერტნიორია თითოეული მომხმარებლისთვის. კომპანია ხშირად ატარებს პრომო აქციებს. მომხმარებლებს გამოცდილი და პროფესიონალი თანამშრომლები პირადად აცნობენ სიახლეების და აწვდიან ინფორმაციას კომპანიაში მომდინარე სხვადასხვა მათთვის სასარგებლო აქციების შესახებ.

დასაქმება „ლიდერ კრედიტში“

თანასწორობა და ჩართულობა - ეს არის ჩვენი გუნდის დევიზი.

მისო „ლიდერ კრედიტში“ დასაქმებულია 105 თანამშრომელი. არსებული ვაკანსიის თაობაზე განცხადების გამოქვეყნება ხდება ელექტრონული ფორმით. მიღებული რეზიუმეების გადარჩევის შემდეგ, თანამშრომელთა მიღება ხდება გასაუბრების საფუძველზე. ყურადღება ექცევა კანდიდატის, პროფესიული ცოდნის გარდა, მოტივაციას, სხარტ აზროვნებას და გუნდურობას. საწყის ეტაპზე მათთან ფორმდება სტაჟირების კონტრაქტი და სტაჟირების წარმატებულად გავლის შემდგომ ფორმდება შრომითი კონტრაქტი. კომპანია მუდმივად ზრუნავს თანამშრომლების პროფესიულ და პიროვნულ განვითარებაზე, შესაბამისად ვთავაზობთ სხვადასხვა ტრენინგებში და სასწავლო პროგრამებში ჩართულობას, ვცდილობთ შევქმნათ ოპტიმალური და ჯანსაღი პირობები ეფექტური და წარმატებული შრომისთვის.

უსაფრთხო გარემო

კანონმდებლობის შესაბამისად კომპანიაში დაცულია უსაფრთხოების სტანდარტები. კომპანიის სათაო ოფისსა და ფილიალებში მოწყობილია აუდიო-ვიდეო მონიტორინგის და სიგნალიზაციის სისტემები. სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე, ზოგიერთ ადგილას გამოყენებულია ბეტონის კედლები და ბრონირებული მინები. ფილიალებში გვყავს დაცვის



თანამშრომლებიც. ყველა თანამშრომელი დატრენინგებულია როგორ მოიქცეს საეჭვო სიტუაციაში.

ფილიალებში განთავსებულია ცეცხლმაქრები და შენობის საევაკუაციო გეგმა. ასევე გამართულია სავენტილაციო სისტემა, რაც დადებითად აისახება თანამშრომლის ჯანმრთელობასა და შრომის ნაყოფიერებაზე.

კომპანიის წინაშე არსებული ძირითადი რისკები

მისო „ლიდერ კრედიტი“ საქმიანობას ახორციელებს საქართველოში. საქართველოში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობა რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ. ეს რეგულაციები მოიცავს მინიმალური საწესდებო კაპიტალის ფულადი სახით შენატანის განხორციელებას (მინიმუმ 500 000 ლარი 2018 წლის 1 სექტემბრამდე) და ფინანსური ანგარიშგების წარდგენას ფასს-ების შესაბამისად. 2017 და 2018 წლებში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად საქართველოში დღესდღეისობით მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს ეკრძალებათ კლიენტებისგან დეპოზიტის მიღება და სესხად 100 000 ლარზე მეტი თანხის გაცემა. წლიური საპროცენტო განაკვეთი სესხის ძირითადი თანხის მაქსიმუმ 50%-ს არის დაშვებული, ასევე წლიური ჯარიმის საპროცენტო განაკვეთი სესხის ძირითადი თანხის მაქსიმუმ 150%-ი.

არსებულმა სიტუაციამ რამოდენიმე მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ შეწყვიტა საქმიანობა, რადგან ფუნქციონირებისთვის საწირო საოპერაციო მოგებას ვეღარ იღებდა. ჩვენი კომპანიის მხრიდან მოხდა მათი პორტფელების ნაწილის შეძენა. ამგვარი საკანონმდებლო ცვლილებები უარყოფითად მოქმედებს ბიზნესის შემოსავლიანობაზე და რისკის ქვეშ აყენებს ამ სფეროში არსებული კომპანიების არსებობას.

საკრედიტო, საბაზრო და სხვა რისკების მიმოხილვა

კომპანიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე კომპანიას შემუშავებული აქვს რისკების მართვის პოლიტიკა. რისკის მართვის მთავარი ამოცანაა მოახდინოს რისკების იდენტიფიკაცია და საპასუხო ღონისძიებების გატარება. რისკის მართვის საშუალებით შესაძლებელია გამოვლენილ იქნეს პოტენციური დადებითი, თუ უარყოფითი ფაქტორები, რაც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. რისკის მართვა მოიცავს პრაქტიკულად ყველა რისკს, რომელიც ეხება დაწესებულების საქმიანობას წარსულში, აწმყოსა და მომავალში. კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო იღებს რისკის მართვის შესაბამის გადაწყვეტილებებს (რომელიც მოიცავს როგორც ქვემოთ აღწერილ ფინანსურ რისკს, ისე ბიზნესრისკებს, როგორიცაა გარემოს, ტექნოლოგიების და დარგის ცვლილებები) რეგულარულ შეხვედრებზე, რომლებიც მინიმუმ თვეში ორჯერ ტარდება. კომპანიას ძირითადად აქვს საკრედიტო,



ლიკვიდურობის და სავალუტო რისკები. მისთვის ასევე დამახასიათებელია საოპერაციო რისკები.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის კონტრაგენტი პარტნიორის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობით ან გაკოტრებით გამოწვეული რისკი. საკრედიტო რისკი მისოს შეიძლება წარმოეშვას თავის კლიენტებთან (შემდგომში – დებიტორები) სხვადასხვა საქმიანობიდან, როგორცაა კრედიტების გაცემა, ვაჭრობის დაფინანსება და სხვა. დირექტორატი პასუხისმგებელია საკრედიტო რისკის სტრატეგიისა და პოლიტიკის განხორციელებისა და პროცედურების შემუშავებისათვის, რომელთა საფუძველზეც მოხდება საკრედიტო რისკის განსაზღვრა, შეფასება, მონიტორინგი და კონტროლი. პოლიტიკამ და პროცედურებმა, რომლებიც სწორად არის შემუშავებული და განხორციელებული, ხელს უწყობს ჯანსაღი დაკრედიტების სტანდარტებს, საკრედიტო რისკის მონიტორინგს, პრობლემური სესხების დადგენას და ამოღებას.

კომპანიის საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა უდრის თავისი ფულადი სახსრების (გადა ნაღდი ფულის ნაშთისა სალაროში), გაცემული სესხების, დებიტორული დავალიანების და წარმოებული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებას.

კრედიტის გაცემისას განსაზღვრულია მთელი რიგი პროცედურები რისი დაცვაც ევალებათ საკრედიტო განყოფილების თანამშრომლებს. საკრედიტო ციკლის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილებია: კლიენტებთან გასაუბრება, ფინანსურ-ეკონომიკური და უზრუნველყოფის ანალიზი, საკრედიტო კომიტეტის გავლა, გაცემული სესხების პერიოდული მონიტორინგი, ვადაგადაცილებული სესხების დაფარვაზე მუშაობა. სესხის გაცემისას ანალიზის პროცესში ხდება ბიზნესთან და მისი შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებული ყველა პირის გამოვლენა. ეკონომიკურად დაკავშირებული მსესხებლის არსებობის შესახებ ინფორმაცია მიეწოდება საკრედიტო კომიტეტს და დგება დაკავშირებული მსესხებლების კონსოლიდირებული უწყისი კომიტეტის შეხედულებისამებრ. ეკონომიკურად დაკავშირებულ მსესხებლებად ითვლებიან ბიზნეს პარტიორები, ოჯახის წევრები, უზრუნველყოფის მესაკუთრეები/თანამესაკუთრეები. ერთ მსესხებელზე ან მსესხებელთა ჯგუფზე გაცემული სესხების ჯამური ოდენობა არ აღემატება 100 000 (ასი ათასი)ლარს.

საკრედიტო ექსპერტი/კრედიტ ოფიცერი სესხის გაცემიდან, მთელი არსებობის პერიოდში ახორციელებს მასზე მიზნობრიობის და მიმდინარეობის მონიტორინგს.

მიზნობრიობის მონიტორინგი სტადარტულად ტარდება სესხის გაცემიდან 2-3 კვირიან პერიოდში და მიზნად ისახავს, განაცხადის შევსებისას მსესხებლის მიერ გაცხადებული,



ლიდარ
პრადიტი

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია

კომიტეტის მიერ დამტკიცებული და ხელშეკრულების შესაბამის მუხლში მითითებული მიზნობრიობის შესრულების გადამოწმებას; იმ შემთხვევაში თუ მსესხებელმა არ შეასრულა ხელშეკრულებაში მითითებული მიზნობრიობის პირობები, მისი უფლებას იტოვებს ხელშეკრულების საფუძველზე ცალმხრივად, შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე, გაუზარდოს მსესხებელს საპროცენტო განაკვეთი ან მოსთხოვოს სესხის ვადაზე ადრე მთლიანად ან ნაწილობრივ დაფარვა;

მიმდინარეობის მონიტორინგის მიზანია სესხის არსებობის პერიოდში მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის პერიოდული მიმოხილვა სულ მცირე 3 თვეში ერთხელ; მისი მიზანია საკრედიტო ექსპერტს ჰქონდეს წარმოდგენა მსესხებლის ფინანსურ მდგომარეობაზე, რომელიც აუცილებელია არსებული სესხის სრულად და დროულად დასაბრუნებლად; იმ შემთხვევაში, თუ მსესხებლის ფინანსური მდგომარეობა გაუარესებულია, საკრედიტო ექსპერტი ამზადებს შესაბამის ოქმს და წარადგენს საკრედიტო კომიტეტზე გადაწყვეტილების მისაღებად; ვადაგადაცილების მონიტორინგის მიზანია გამოავლინოს მსესხებლის ვადაგადაცილებაში გადასვლის მიზეზები და საკრედიტო კომიტეტს მისცეს საშუალება მონიტორინგის დროს ჩატარებულ ანალიზზე დაყრდნობით მიიღოს მაქსიმალურად სწორი გადაწყვეტილება.

სალომბარდო სესხებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკები ძირითადად იმართება სესხების უზრუნველყოფის მოთხოვნით. არ არსებობს ერთი მსესხებელი, რომელზეც მნიშვნელოვანი ნაშთი მოდის, სალომბარდო სესხების მთლიან ნაშთთან მიმართებაში. თუ მსესხებელი 30 დღეზე მეტი ხნის განმავლობაში ვერ განახორციელებს ვალდებულების დაფარვას, მას ეგზავნება შეტყობინება, ხოლო 60 ან გარკვეულ შემთხვევაში 120 დღის ვადაგადაცილებაზე კომპანია ჩამოწერს სესხს და ახდენს უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციას.

საბაზრო რისკები

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის სავალუტო კურსის მერყეობის რისკი, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე. სავალუტო რისკი წარმოიშობა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივებისა და ვალდებულებებისგან.

კომპანიას გააჩნია უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები. მენეჯმენტი აკოტროლებს სავალუტო რისკს, იმით, რომ ცდილობს აქტივები და ვალდებულებები ერთი და იმავე ვალუტაში ჰქონდეს.



ლიდერ
კრედიტი

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია

ლიკვიდურობის და ფულადი ნაკადების რისკი

ლიკვიდურობის და ფულადი ნაკადების რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს დროულად მის მიმართ არსებული ვალდებულებების დაფარვას. ლიკვიდურობის და ფულადი ნაკადების რისკი წარმოიშობა აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის შეუსაბამობისას, რაც გამოიწვევს ფულის, როგორც ყველაზე ლიკვიდური აქტივის დეფიციტს.

მენეჯმენტი ასეთი ტიპის რისკების მართვას ახდენს ვადიანობის ანალიზით, განსაზღვრავს რა ჯგუფის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის. იმისათვის, რომ მართოს ლიკვიდურობის და ფულადი ნაკადების რისკი, კომპანია ახდეს მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების მუდმივ მონიტორინგს, რაც აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილია.

საპროცენტო რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საპროცენტო განაკვეთებში ცვლილებებიდან, რომელიც ზეგავლენას მოახდენს ფულად ნაკადებზე ან ფინანსური აქტივების რეალურ ღირებულებებზე. კომპანიის საოპერაციო შემოსავალი და ფულადი ნაკადები არ არის დამოკიდებული საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებზე, ვინაიდან მიუხედავად იმისა რომ ჯგუფს აქვს მნიშვნელოვანი ოდენობის საპროცენტო განაკვეთის მატარებელი აქტივები და ვალდებულებები, ყველა ამ ინსტრუმენტს აქვს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთები, რომელიც არ არის დამოკიდებული ბაზარზე არსებულ საპროცენტო განაკვეთების მერყეობაზე.

ერეკლე ვარდოსანიძე

დირექტორი

შპს მისო ლიდერკრედიტი

თარიღი: 6 სექტემბერი, 2019

ერეკლე ვარდოსანიძე

სალომე მოსიაშვილი

მთავარი ბუღალტერი

ს. მოსიაშვილი



შპს მისო ლიდერკრედიტი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

და

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შინაარსი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა	2
დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	6
სრული შემოსავლების კონსოლიდირებული ანგარიშგება	7
ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	8
კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება	9

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1 ჯგუფი და მისი ძირითადი საქმიანობა	10
2 ჯგუფის საოპერაციო გარემო	10
3 მომზადების საფუძველი	10
4 კონსოლიდაციის საფუძველი	11
5 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა	11
6 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები	15
7 ფული და ფულის ეკვივალენტები	16
8 გაცემული სესხები	16
9 საგადასახადო აქტივები	18
10 ძირითადი საშუალებები	19
11 არამატერიალური აქტივები	20
12 გასაყიდად გამოზნული გრძელვადიანი აქტივები	21
13 გადავადებული და მიმდინარე მოგების გადასახადი	21
14 სხვა აქტივები	22
15 მიღებული სესხები	22
16 გადასახდელი გადასახადები	23
17 საწესდებო კაპიტალი	23
18 საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები	23
19 ფინანსური რისკების მართვა	24
20 ფინანსური აქტივები და ვალდებულებები	27
21 კაპიტალის ადეკვატურობა	28
22 დაკავშირებული მხარეები	29
23 პირობითი ვალდებულებები	30
24 საწარმოს უწყვეტობის განხილვა	30
25 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	30

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

თანდართულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია შპს მისო ლიდერკრედიტი-ს ხელმძღვანელობა.

ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევას და მათ თანმიმდევრულ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების დაშვების საფუძველზე, თუკი რეალური მდგომარეობა შეუსაბამო არ ხდის ამ დაშვებას;

მენეჯმენტი აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა;
- აწარმოოს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
- მიიღოს მისთვის გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რათა დაიცვას კომპანიის აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა დარღვევები.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ:

ერეკლე ვარდოსანიძე

სალომე მოსიაშვილი

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

შპს მისო ლიდერკრედიტი

თარიღი: 14 ივნისი, 2019

შპს მისო ლიდერკრედიტი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

თანდართულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია შპს მისო ლიდერკრედიტი-ს ხელმძღვანელობა.

ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევას და მათ თანმიმდევრულ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების დაშვების საფუძველზე, თუკი რეალური მდგომარეობა შეუსაბამოს არ ხდის ამ დაშვებას;

მენეჯმენტი აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა;
- აწარმოოს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
- მიიღოს მისთვის გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რათა დაიცვას კომპანიის აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა დარღვევები.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ:

ერეკლე ვარდოსანიძე

სალომე მოსიაშვილი

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

შპს მისო ლიდერკრედიტი

თარიღი: 14 ივნისი, 2019

ერეკლე ვარდოსანიძე

ს. მოსიაშვილი



Moore Stephens ABC, LLC
6 Marjanishvili Str. 0102, Tbilisi,
Georgia

T +995 32 2 000 123
E info@moorestephens.ge

www.moorestephens.com

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა შპს მისო ლიდერკრედიტი-ს მენეჯმენტს

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს "მისო ლიდერკრედიტი"-ს და მისი შვილობილი კომპანიის (შემდგომში „ჯგუფი“) თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე კონსოლიდირებული სრული შემოსავლების, კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებებისა და კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს წლისათვის, რომელიც დასრულდა ზემოთ აღნიშნული თარიღით, აგრეთვე კონსოლიდირებულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებსა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, გარდა "პირობითი მოსაზრების საფუძველი" აბზაცში განხილული საკითხისა, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით და შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს (ფასს).

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კომპანიის აუდიტის პროცესში დავადგინეთ, რომ სესხების შესაძლო გაუფასურების რეზერვის მოდელი არ შეესაბამება ფასს 9-ის ("ფინანსური ინსტრუმენტები") მოთხოვნებს, კერძოდ: კომპანია შიდა სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით ვადაგადაცილებულ დღეებს იყენებს სესხების ჯგუფებად დაყოფის მიზნებისთვის (Loan Staging), რაც წარმოადგენს არასრულ მოდელს ფასს-ის მიხედვით შემუშავებულ ინსტრუქციასთან მიმართებაში, რომელიც ვადაგადაცილებული დღეების გარდა მოდელირებისთვის ასევე იყენებს მრავალ სხვა კრიტერიუმს როგორებიც არის: საკრედიტო რეიტინგის ცვლილება, რესტრუქტურზაცია, საგადასახადო შემოწმება, სესხების წინსწრებით დაფარვა, ლიკვიდურობა და ა.შ. ამას გარდა, კომპანიის მიერ გამოყენებული სტანდარტული განაკვეთები არ შეიცავს ისეთ კომპლექსურ პარამეტრებს, როგორებიცაა: სამომავლო დეფოლტის ალბათობა (PD), ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD) და დეფოლტში მყოფი რისკის პოზიცია (EAD). ამ პარამეტრების არარსებობა მოდელში თავისმხრივ გულისხმობს იმას, რომ სესხის დარეზერვების პოლიტიკა არ შეიცავს საპროგნოზო მაკროეკონომიკურ ინფორმაციას, რომელიც ფასს 9-ის ერთ-ერთი აუცილებელი მოთხოვნაა.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - "აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე" - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსისა (IESBA კოდექსი) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, ჩვენ შევასრულეთ ამ ნორმებით და IESBA ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია ჩვენი აუდიტისათვის.

სხვა ინფორმაცია, რომელიც არ არის ფინანსური ანგარიშგება და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნა

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია მმართველობით ანგარიშში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. საუარაუდოდ, მმართველობითი ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა (გაგრძელება)

სხვა ინფორმაცია, რომელიც არ არის ფინანსური ანგარიშგება და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნა (გაგრძელება)

ჩვენ მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

მენეჯმენტისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

მენეჯმენტი პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტს ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენეჯმენტს განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, რომ წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას, მათ შორის გამოწვეულს თაღლითობით ან შეცდომით, და გავცეთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებულ ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა თუკი გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებლის მიერ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოყენების საფუძველზე მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტის პროცესში აუდიტორის მიერ პროფესიული მსჯელობის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ მენეჯმენტის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა (გაგრძელება)

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე (გაგრძელება)

- დასკვნა გამოგვაქვს მენეჯმენტის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ორგანიზაცია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას, მის შინაარსს და ახსნა-განმარტებითი შენიშვნებს. ამასთან ვაფასებთ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციები და მოვლენები უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა, ვადების და ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მიხეილ აბაიაძე / სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი

ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-320544

აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-865011

თარიღი: 14 ივნისი, 2019

თბილისი, საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა (გაგრძელება)

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

• დასკვნა გამოგვაქვს მენეჯმენტის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ორგანიზაცია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

• ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას, მის შინაარსს და ახსნა-განმარტებითი შენიშვნებს. ამასთან ვაფასებთ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციები და მოვლენები უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა, ვადების და ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.


მიხეილ აბაიძე / სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი

ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-320544

აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-865011

თარიღი: 14 ივნისი, 2019

თბილისი, საქართველო



შპს მისო ლიდერკრედიტი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

		31-დეკ-18	31-დეკ-17
	შენიშვნა		
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	7	6,046,405	2,012,290
გაცემული სესხები	8	21,317,653	21,717,194
საგადასახადო აქტივები	9	-	290,197
ძირითადი საშუალებები	10	478,363	461,924
არამატერიალური აქტივები	11	124,130	146,398
გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები	12	1,367,661	1,265,736
სხვა აქტივები	14	553,620	292,977
სულ აქტივები		29,887,832	26,186,716
ვალდებულებები			
მიღებული სესხები	15	8,643,160	10,648,859
გადასახდელი გადასახადები	16	57,127	484
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	13	35,503	23,097
სხვა ვალდებულებები		68,537	92,161
სულ ვალდებულებები		8,804,327	10,764,601
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	17	5,300,000	5,300,000
გაუნაწილებელი მოგება		15,783,505	10,122,115
სულ კაპიტალი		21,083,505	15,422,115
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		29,887,832	26,186,716

ერეკლე ვარდოსანიძე

სალომე მოსიაშვილი

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

შპს მისო ლიდერკრედიტი

თარიღი: 14 ივნისი, 2019

შპს მისო ლიდერკრედიტი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

	შენიშვნა	31-დეკ-18	31-დეკ-17
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	7	6,046,405	2,012,290
გაცემული სესხები	8	21,317,653	21,717,194
საგადასახადო აქტივები	9	-	290,197
ძირითადი საშუალებები	10	478,363	461,924
არამატერიალური აქტივები	11	124,130	146,398
გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები	12	1,367,661	1,265,736
სხვა აქტივები	14	553,620	292,977
სულ აქტივები		29,887,832	26,186,716
ვალდებულებები			
მიღებული სესხები	15	8,643,160	10,648,859
გადასახდელი გადასახადები	16	57,127	484
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	13	35,503	23,097
სხვა ვალდებულებები		68,537	92,161
სულ ვალდებულებები		8,804,327	10,764,601
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	17	5,300,000	5,300,000
გაუნაწილებელი მოგება		15,783,505	10,122,115
სულ კაპიტალი		21,083,505	15,422,115
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		29,887,832	26,186,716

ერეკლე ვარდოსანიძე

დირექტორი

შპს მისო ლიდერკრედიტი

თარიღი: 14 ივნისი, 2019

გ. ჯიხიაშვილი

სალომე მოსიაშვილი

მთავარი ბუღალტერი

სალომე მოსიაშვილი



შპს მისო ლიდერკრედიტი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

სრული შემოსავლების კონსოლიდირებული ანგარიშგება

	შენიშვნა	2018	2017
საპროცენტო შემოსავალი		6,816,467	6,383,683
საპროცენტო ხარჯი		(1,435,689)	(1,088,485)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		5,380,778	5,295,198
საკომისიო შემოსავლები		428,442	609,796
შემოსავალი ჯარიმებიდან, წმინდა		2,483,044	1,372,238
მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან		254,318	246,247
სხვა ხარჯი		(89,714)	(18,993)
სხვა შემოსავალი		389,945	19,931
საოპერაციო შემოსავალი		8,846,813	7,524,417
საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები	18	(2,708,399)	(2,330,545)
ცვლილება სესხის გაუფასურების რეზერვში		259,948	(488,957)
უცხოური ვალუტით მიღებული მოგება/(ზარალი)		135,844	(819,347)
მოგება გადასახადებამდე		6,534,206	3,885,568
მოგების გადასახადი	13	(872,816)	(706,894)
მიმდინარე წლის მოგება		5,661,390	3,178,674

ერეკლე ვარდოსანიძე

სალომე მოსიაშვილი

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

შპს მისო ლიდერკრედიტი

თარიღი: 14 ივნისი, 2019

შპს მისო ლიდერკრედიტი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

სრული შემოსავლების კონსოლიდირებული ანგარიშგება

	შენიშვნა	2018	2017
საპროცენტო შემოსავალი		6,816,467	6,383,683
საპროცენტო ხარჯი		(1,435,689)	(1,088,485)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		5,380,778	5,295,198
საკომისიო შემოსავლები		428,442	609,796
შემოსავალი ჯარიმებიდან, წმინდა		2,483,044	1,372,238
მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან		254,318	246,247
სხვა ხარჯი		(89,714)	(18,993)
სხვა შემოსავალი		389,945	19,931
საოპერაციო შემოსავალი		8,846,813	7,524,417
საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები	18	(2,708,399)	(2,330,545)
ცვლილება სესხის გაუფასურების რეზერვში		259,948	(488,957)
უცხოური ვალუტით მიღებული მოგება/(ზარალი)		135,844	(819,347)
მოგება გადასახადებამდე		6,534,206	3,885,568
მოგების გადასახადი	13	(872,816)	(706,894)
მიმდინარე წლის მოგება		5,661,390	3,178,674

ერეკლე ვარდოსანიძე

სალომე მოსიაშვილი

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

შპს მისო ლიდერკრედიტი

თარიღი: 14 ივნისი, 2019

გ. ვაჩაგაძე

[Handwritten signature]



შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ლიდერკრედიტი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

	2018	2017
სესხის დასაფარად შემოსული თანხები	22,174,587	20,974,184
მიღებული პროცენტი	6,332,419	6,108,670
მიღებული ჯარიმა და საკომისიო	2,211,574	1,620,092
გაცემული სესხები	(23,374,474)	(22,864,789)
გაწეული ხარჯები	(685,310)	(904,044)
გადახდილი ხელფასები	(1,201,166)	(1,042,657)
გადახდილი პროცენტი	(905,635)	(1,064,297)
გადახდილი გადასახადები	(1,136,740)	(1,625,361)
წმინდა ფულადი სახსრები უცხოური ვალუტის კონვერტაციიდან	233,210	247,397
ფულადი გზავნილების საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები	72,181	34,539
სხვა შემოსულობა/(გასავალი)	(158,048)	92,968
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	3,562,598	1,576,702
საბანკო დეპოზიტებზე მიღებული პროცენტები	13,573	-
გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივის შეძენა	(1,277,550)	(762,759)
ძირითადი საშუალებების შეძენა	(123,246)	(146,122)
გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივის გაყიდვა	4,294,574	247,185
არამატერიალური აქტივების შეძენა	-	(91,935)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	2,907,351	(753,631)
მიღებული სესხები	4,093,656	4,497,474
დაფარული სესხები	(6,518,416)	(3,790,600)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(2,424,760)	706,874
საკუროს სხვაობის შედეგი	(11,074)	(257,714)
წმინდა ფულადი სახსრების ზრდა/(შემცირება)	4,045,189	1,529,945
ფული და ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	2,012,290	740,059
ფული და ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	6,046,405	2,012,290

ერეკლე ვარდოსანიძე

სალომე მოსიაშვილი

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

შპს მისო ლიდერკრედიტი

თარიღი: 14 ივნისი, 2019

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ლიდერკრედიტი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

	2018	2017
სესხის დასაფარად შემოსული თანხები	22,174,587	20,974,184
მიღებული პროცენტი	6,332,419	6,108,670
მიღებული ჯარიმა და საკომისიო	2,211,574	1,620,092
გაცემული სესხები	(23,374,474)	(22,864,789)
გაწეული ხარჯები	(685,310)	(904,044)
გადახდილი ხელფასები	(1,201,166)	(1,042,657)
გადახდილი პროცენტი	(905,635)	(1,064,297)
გადახდილი გადასახადები	(1,136,740)	(1,625,361)
წმინდა ფულადი სახსრები უცხოური ვალუტის კონვერტაციიდან	233,210	247,397
ფულადი გზავნილების საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები	72,181	34,539
სხვა შემოსულობა/(გასავალი)	(158,048)	92,968
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	3,562,598	1,576,702
საბანკო დეპოზიტებზე მიღებული პროცენტები	13,573	-
გასაყიდად გამოზნული გრძელვადიანი აქტივის შეძენა	(1,277,550)	(762,759)
ძირითადი საშუალებების შეძენა	(123,246)	(146,122)
გასაყიდად გამოზნული გრძელვადიანი აქტივის გაყიდვა	4,294,574	247,185
არამატერიალური აქტივების შეძენა	-	(91,935)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	2,907,351	(753,631)
მიღებული სესხები	4,093,656	4,497,474
დაფარული სესხები	(6,518,416)	(3,790,600)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(2,424,760)	706,874
საკუროს სხვაობის შედეგი	(11,074)	(257,714)
წმინდა ფულადი სახსრების ზრდა/(შემცირება)	4,045,189	1,529,945
ფული და ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	2,012,290	740,059
ფული და ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	6,046,405	2,012,290

ერეკლე ვარდოსანიძე

დირექტორი

შპს მისო ლიდერკრედიტი

თარიღი: 14 ივნისი, 2019

1. ვაჩაიძე

სალომე მოსიაშვილი

მთავარი ბუღალტერი

1. მოსიაშვილი



შპს მისო ლიდერკრედიტი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5,300,000	6,943,441	12,243,441
წმინდა მოგება 2017 წლისთვის	-	3,178,674	3,178,674
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5,300,000	10,122,115	15,422,115
წმინდა მოგება 2018 წლისთვის	-	5,661,390	5,661,390
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5,300,000	15,783,505	21,083,505

ერეკლე ვარდოსანიძე

სალომე მოსიაშვილი

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

შპს მისო ლიდერკრედიტი

თარიღი: 14 ივნისი, 2019

შპს მისო ლიდერკრედიტი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5,300,000	6,943,441	12,243,441
წმინდა მოგება 2017 წლისთვის	-	3,178,674	3,178,674
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5,300,000	10,122,115	15,422,115
წმინდა მოგება 2018 წლისთვის	-	5,661,390	5,661,390
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5,300,000	15,783,505	21,083,505

ერეკლე ვარდოსანიძე

დირექტორი

შპს მისო ლიდერკრედიტი

თარიღი: 14 ივნისი, 2019

წმინდა მოგება



სალომე მოსიაშვილი

მთავარი ბუღალტერი

1 პირი

შენიშვნა 1 ჯგუფი და მისი ძირითადი საქმიანობა

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შპს მისო ლიდერკრედიტის (შემდგომში მოხსენიებული როგორც „შპს მისო ლიდერკრედიტი“) და მისი 100%-იანი შვილობილი კომპანია შპს ლიდერ ინვესტიის (შემდგომში მოხსენიებული როგორც „ჯგუფი“) ფინანსურ ინფორმაციას.

შპს მისო ლიდერკრედიტი (ს/კ 406045649) დარეგისტრირდა 2011 წლის 24 მარტს თბილისში, საქართველოში. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, თამარ მეფის გამზირი №11.

შპს ლიდერ ინვესტი (ს/კ 402068891) დარეგისტრირდა 2017 წლის 28 ნოემბერს თბილისში, საქართველოში. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, თამარ მეფის გამზირი №11.

ჯგუფის ძირითადი საქმიანობაა ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე მიკრო სესხების გაცემა. ჯგუფს აქვს რვა სერვის ცენტრი: თამარ მეფის ფილიალი, ვარკეთილის 2 ფილიალი, გლდანის 2 ფილიალი, რუსთავის ფილიალი, მარნეულის ფილიალი, ბათუმის ფილიალი. ჯგუფი გაცემს ოთხი სახის სესხს: (1) იპოთეკური სესხი, რომლის უზრუნველყოფა ხდება უძრავი ქონების გარანტიით; (2) ოქროს სალომბარდო სესხი, რომლის უზრუნველყოფა ხდება ოქროთი (3) ავტო სალომბარდო სესხი, რომლის უზრუნველყოფა ხდება ავტომობილებით და (4) ბიზნეს სესხი, რომლის უზრუნველყოფა გარკვეულ შემთხვევებში ხდება უძრავი ქონებით. დადგენილია სესხის ზედა ზღვარი, რომელიც შეადგენს 100 ათას ლარს.

ჯგუფი ასევე ახორციელებს ფულად გზავნილებს შემდეგი საგადახდელო სისტემების მეშვეობით: Western union, Contact, Intel express, Unistream, Anelik, Money Gram, Ria Zolotaya Korona.

შპს მისო ლიდერკრედიტი-ს მეწილეები არიან:

მეწილე	31-დეკ-18	31-დეკ-17
ადელინა სადოიანი	25.00%	25.00%
ტიტალ დასენი	75.00%	75.00%
	100.00 %	100.00 %

შენიშვნა 2 ჯგუფის საოპერაციო გარემო

კომპანია საქმიანობას ახორციელებს საქართველოში. საქართველოში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობა რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ. ეს რეგულაციები მოიცავს მინიმალური საწესდებო კაპიტალის ფულადი სახით შენატანის განხორციელებას (მინიმუმ 500,000 ლარი 2018 წლის 1 სექტემბრამდე) და ფინანსური ანგარიშგების წარდგენას ფასის-ის შესაბამისად. საქართველოში დღესდღეობით მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს ეკრძალებათ კლიენტებისგან დებოზიტების მიღება და სესხად 100 ათას ლარზე (2017: 50 ათას ლარზე მეტი) მეტი თანხის გაცემა. (ასევე იხილეთ შენიშვნა №25).

ისეთი განვითარებადი ეკონომიკები, როგორიც საქართველოშია, ძალიან მგრძნობიარენი არიან ბაზარზე სწრაფი ცვლილებებისა და მსოფლიოში ეკონომიკური კრიზისების მიმართ. შესაბამისად, საქართველოს ბაზარზე ოპერაციების წარმოება ისეთ რისკებთანაა დაკავშირებული, რაც არ არის დამახასიათებელი განვითარებული ბაზრებისათვის. თუმცა, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობამ შეცვალა სამოქალაქო, სისხლის, საგადასახადო, ადმინისტრაციული და სამეწარმეო კანონები, რამაც დადებითად იმოქმედა ქვეყანაში საერთო საინვესტიციო გარემოზე. საქართველოს კარგი საერთაშორისო რეპუტაცია აქვს საინვესტიციო გარემოს კუთხით. საერთაშორისო გამჭვირვალობის მიერ გამოქვეყნებული 2018 წლის კორუფციის აღქმის ინდექსში საქართველოს მაჩვენებელი 58 ქულაა (180 ქვეყანას შორის 41-44-ე ადგილებს იყოფს ლატვიასთან, ესპანეთთან, სენტ-ვინსენტსა და გრენადინებთან. საქართველოს შედეგი უმნიშვნელოთ თუმცა გაუმჯობესდა გასულ წელთან შედარებით 2 ქულით.

შენიშვნა 3 მომზადების საფუძველი

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. ჯგუფში შემავალი კომპანიები საბუღალტრო ჩანაწერებს აწარმოებენ საქართველოს საბუღალტრო და საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა აღნიშნული ბუღალტრული ჩანაწერებიდან და საჭიროებისამებრ შესწორდა, რომ შესაბამისობაში მოსულიყო ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია მათი ლიკვიდურობის მიხედვით და არ არის დაყოფილი როგორც მიმდინარე და გრძელვადიანი.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება შედგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ლარში („ლარი“).

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენენ წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე, ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის არსებულ პირობით აქტივებისა და ვალდებულებების მოცულობაზე და საანგარიშგებო პერიოდში წარმოდგენილი შემოსავლებისა და ხარჯების თანხებზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს შეფასებები ევრდნობა მენეჯმენტის მხრიდან არსებული მოვლენებისა და ქმედებების ცოდნას, ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა საბოლოო ჯამში განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან.

შენიშვნა 4 კონსოლიდაციის საფუძველი

შვილობილი კომპანიები - კომპანიები, რომლებშიც ჯგუფი ფლობს ხმის უფლების მქონე აქციების ნახევარზე მეტს ან სხვაგვარად აკონტროლებს მათ ფინანსურ და საოპერაციო საქმიანობას და იღებს სარგებელს მათი საქმიანობიდან, კონსოლიდირებულია. შვილობილი კომპანიების შეძენის აღრიცხვისთვის გამოიყენება აღრიცხვის შესყიდვის მეთოდი. ბიზნეს გაერთიანებაში იდენტიფიცირებადი შეძენილი აქტივები, ვალდებულებები, და პირობითი ვალდებულებების გაზომვა ხდება შეძენის თარიღისთვის არსებული მათი საბაზრო ღირებულებით, მიუხედავად არასაკონტროლო პაკეტის ოდენობისა.

ჯგუფის კომპანიებს შორის არსებული ტრანზაქციები, ნაშთი და არარეალიზებული შემოსულობები ელიმინირდება. ასევე ხდება არარეალიზებული დანაკარგების ელიმინირება, თუ გარიგება წარმოადგენს გადაცემული აქტივის გაუფასურების მტკიცებულებას. შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ლიდერკრედიტის და მისი შვილობილი კომპანია იყენებენ ერთიან სააღრიცხვო პოლიტიკას, რომელიც თანხვედრაშია ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან.

შენიშვნა 5 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

5.1 ახალი და განახლებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები

2018 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა რიგი ახალი სტანდარტებისა, თავიანთი დატვირთვით ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილებებია:

ა) ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები

2018 წლის პირველი იანვრიდან ფასს 9-მ ჩაანაცვლა ბასს 39 - ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და გაზომვა. ფასს 9 მოიცავს ფინანსური აქტივების გაუფასურების მოთხოვნებს და მცირე შესწორებებს, რომლებიც ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის მოთხოვნებს ეხება. ფასს 9 მოიცავს შესწორებებს მითითებებს ფინანსური ინსტრუმენტების სწორ კლასიფიკაციასა და გაზომვაზე. მათ შორის ფინანსური აქტივების გაუფასურების გამოანგარიშების, განახლებულ სავარაუდო საკრედიტო ზარალის მოდელს და პეჯირების ახალ საბუღალტრო მოთხოვნებს. ასევე მოიცავს ბასს 39-ის მიხედვით ფინანსური აქტივების აღიარება-არ აღიარების მითითებებს.

ბ) ფასს 15 - შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

ფასს 15 აყალიბებს ყოვლისმომცველ სტრუქტურას, რაც განსაზღვრავს თუ რამდენად, რა ღირებულებით და როდის უნდა აღიარდეს შემოსავალი. 2018 წლის პირველი იანვრიდან ფასს 15-მა ჩაანაცვლა შემოსავლების აღიარების არსებული პრინციპი, მათ შორის ბასს 18 - შემოსავლები და ბასს 11 - სამშენებლო კონტრაქტები. ფასს 15-ის ამოსავალი პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ პირმა შემოსავალი ისე უნდა აღიაროს, რომ ამით ასახოს კლიენტისთვის ნაკისრი საქონლისა და მომსახურების გადაცემა ისეთი თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც პირი ვარაუდობს ამ საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ. შემოსავლების ახალი სტანდარტი, შემოსავლების გამჟღავნების შესახებ, წარმოადგენს გაუმჯობესებულ მითითებებს ტრანზაქციებზე, რომლებიც სრულყოფილად არ იყო წარმოდგენილი.

ბ) ფასს 15 - შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

გ) წილობრივი დაფარვის ტრანზაქციების კლასიფიკაცია და შეფასება - ფასს 2-ის ცვლილება

დ) ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენება ფასს 4 სადაზღვევო კონტრაქტებში - ფასს 4-ის ცვლილება

ე) საინვესტიციო ქონების ტრანსფერები - ბასს 40-ის ცვლილება

ვ) ფასს 22 უცხოური ვალუტის გარიგებები

5.2 სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ანგარიშგების მიმდინარე პერიოდისათვის ჯერ არ შესულა ძალაში და რომლებიც კომპანიას ნაადრევად არ მიუღია. მათგან სავარაუდოდ შემდეგი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მოახდენს გავლენას კომპანიის ოპერაციებზე. კომპანია გეგმავს, რომ მიიღოს ეს სტანდარტები და ინტერპრეტაციები მათი ძალაში შესვლის მომენტიდან.

ფასს 16 - იჯარა

2016 წლის იანვარში ბასს-მა გამოსცა ახალი სტანდარტი იჯარის აღრიცხვისთვის - ფასს 16 "იჯარა". ახალი სტანდარტით მნიშვნელოვნად არ იცვლება იჯარის აღრიცხვა მეიჯარეებისთვის. თუმცა, მოიჯარეებს იგი ავალებს იჯარების უმეტესობის თვითნებურად აღიარებას საიჯარო ვალდებულებების სახით, აქტივების შესაბამისი გამოყენების უფლებით. მოიჯარეებმა ყველა აღიარებული იჯარისთვის ერთიანი მოდელი უნდა გამოიყენონ, თუმცა მათ უფლება აქვთ არ აღიარონ "მოკლევადიანი" იჯარები და იჯარები "დაბალი ღირებულების მქონე" აქტივებით. ზოგადად, აღიარებულ იჯარაზე მოგების ან ზარალის აღიარების წესი დღეისათვის მოქმედი ფინანსური იჯარის აღრიცხვის წესის მსგავსი იქნება და საპროცენტო ზარჯი და საამორტიზაციო ანარჩების აღიარება ცალკე მოხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფასს 16 ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდისთვის. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენება იმ შემთხვევაში, თუ შემოსავლის შესახებ ახალი სტანდარტის - ფასს 15-ის გამოყენებაც იმავე თარიღით მოხდება.

კომპანია აფასებს აღნიშნული ცვლილებების სავარაუდო გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შენიშვნა 5 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

5.3 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ანგარიშგების ისეთი მუხლი, რომლის კონვერტირება ნაღდ ფულში შესაძლებელია ერთ დღეში. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს: სალაროში არსებულ ნაღდ ფულს და ფულს ბანკში მიმდინარე ანგარიშებსა და ანაბრებს.

5.4 გაცემული სესხები

გაცემული სესხები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს, ფიქსირებული ან განსაზღვრადი ფასებით, რომელიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. გაცემული სესხები თავდაპირველად აღიარდება საბაზრო ღირებულებას (რომელიც მომხმარებელზე გაცემული სესხის თანხის ტოლია), დამატებული სესხის გაცემასთან დაკავშირებული ტრანზაქციის განხორციელების ხარჯები. სესხი შემდგომში აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. გაცემული სესხები წარდგენილია ნეტო ღირებულებით სესხების გაუფასურების რეზერვების გამოკლებით.

სესხის ამორტიზებული ღირებულება არის სესხის თავდაპირველად აღიარებულ ოდენობას გამოკლებული გადახდილი სესხის ძირის თანხები, დამატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია ეფექტური განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ნებისმიერი სხვაობისას თავდაპირველად აღიარებულ რაოდენობასა და დასაფარ თანხას შორის, გამოკლებული სესხის გაუფასურება. შენატანები და შეღავათები, თავდაპირველი სატრანზაქციო ხარჯების ჩათვლით, შედის შესაბამისი სესხის საბალანსო ღირებულებაში და ამორტიზირდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

გაცემული სესხის გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს სასესხო ხელშეკრულების პირობების შესაბამისად თანხის ამოღებას. გაცემული სესხის საბალანსო ღირებულება მცირდება რეზერვის ანგარიშის გამოყენებით, ხოლო ზარალის თანხა აღიარდება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში. როდესაც სესხი უიმედოა, ის ჩამოიწერება რეზერვის ანგარიშიდან. სარეზერვო ანგარიშიდან სესხები ჩამოიწერება მას შემდეგ, რაც მენეჯმენტი დარწმუნდება რომ მან გამოიყენა ყველა შესაძლებლობა სესხის თანხის ამოსაღებად და მას შემდეგ, რაც ჯგუფი გაყიდის მის ხელთ არსებულ ყველა უზრუნველყოფას.

5.5 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები, რომლებიც გამოიყენება მომსახურების გასაწევად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისთვის და გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად. ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია აკუმულირებული ცვეთით შემცირებული ისტორიული ღირებულებით. ისტორიული ღირებულება მოიცავს ამ აქტივის შეძენასთან დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებს. შეძენის შემდგომი დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას ან აღიარდება ცალკე აქტივად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ მომავალში ამ აქტივის მეშვეობით ჯგუფი მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლოა ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. აქტივების მიმდინარე სარემონტო (შეკეთების) და შენახვის დანახარჯები აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში მათი გაწევის პერიოდების მიხედვით. ცვეთა გამოანგარიშებულია წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითადი საშუალების ცვეთის დარიცხვა წარმოებს მათი ექსპლუატაციაში შესვლის თარიღიდან. ძირითადი საშუალებების ცვეთის განაკვეთები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

აქტივების ჯგუფი	ცვეთის განაკვეთი
საოფისი და კომპიუტერული აღჭურვილობა	20%
ავტო და სხვა ინვენტარი	20%
სხვა ძირითადი საშუალებები	20%
სატრანპორტო საშუალებები	15%-20%
კაპიტალური დანახარჯები იჯარით აღებული ობიექტის მიხედვით	15%

შენიშვნა 5 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

5.6 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ (ა) ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური მოგების მიღება; და (ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით. ამორტიზაცია გამოიანგარიშება წრფივი მეთოდის გამოყენებით და სასარგებლო მომსახურების ვადის გათვალისწინებით. ჯგუფის არამატერიალური აქტივების ნაშთი შედგება პროგრამული სისტემების ღირებულებისგან, რომლის სასარგებლო მომსახურების ვადაა 7 წელი. არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი საექსპლუატაციო ვადით არ ამორტიზირდება. ისინი ყოველწლიურად გადაიხდება გაუფასურებაზე და გაუფასურების ზარალი წარმოშობისთანავე დაუყოვნებლივ აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში. არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი საექსპლუატაციო ვადით გადაიხდება ყოველწლიურად იმ მიზნით, რომ დადგინდეს კიდევ არის თუ არა საექსპლუატაციო ვადა განუსაზღვრელი. თუ დადგინდება, რომ საექსპლუატაციო ვადა განსაზღვრულია, მაშინ ასეთი არამატერიალური აქტივები ამორტიზირდება განსაზღვრული საექსპლუატაციო ვადით.

5.7 გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები

გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები შედგება ჯგუფის მიერ დასაკუთრებული უზრუნველყოფის ღირებულებისგან, რომელიც ჯგუფმა მიიღო მსესხებლის მიერ სესხის გადაუხდელობის შედეგად. უზრუნველყოფა შეიძლება იყოს მიწა, შენობა, სახლი, ავტომობილი, საცხოვრებელი ბინა, ძვირფასი ქვები/ლითონები ან ანტიკვარული ნივთები.

ჯგუფი დასაკუთრებული უზრუნველყოფის გასაყიდად გამიზნულ გრძელვადიან აქტივად კლასიფიკაციას ახდენს იმ შემთხვევაში თუ მისგან მოელოს საბალანსო ღირებულების ამოღებას მისი გაყიდვით და არა მისი გამოყენების გაგრძელებით. ამისათვის შესაძლებელი უნდა იყოს აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვა არსებულ მდგომარეობაში, მხოლოდ ასეთი აქტივების გაყიდვის ჩვეულებრივი პირობებით და მისი გაყიდვა დიდად მოსალოდნელი უნდა იყოს. იმისათვის, რომ გაყიდვა დიდად მოსალოდნელი იყოს, ხელმძღვანელობის შესაბამისი დონე აქტივის გაყიდვის გეგმას მხარს უნდა უჭერდეს და შემუშავებული უნდა იყოს მყიდველის მოძებნისა და გეგმის ბოლომდე მიყვანის აქტიური პროგრამა. გარდა ამისა, უნდა განხორციელდეს აქტივის აქტიურ გაყიდვაზე მიმართული მარკეტინგი, იმ ფასად, რომელიც გონიერულია ამ აქტივის რეალური ღირებულების გათვალისწინებით. გარდა ამისა, ამ გაყიდვის აღიარება დასრულებულ გაყიდვად შესაძლებელი უნდა იყოს აქტივის გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირების დღიდან ერთი წლის განმავლობაში. ამასთან, გეგმის დასრულებისათვის საჭირო საქმიანობა იმის დასტურს უნდა იძლეოდეს, რომ გეგმის მნიშვნელოვანი ცვლილება ან გეგმის გაუქმება მოსალოდნელი არ არის.

თუ უზრუნველყოფის გაყიდვა არ არის განზრახული, მისი აღიარება ხდება ძირითად საშუალებებში ან საინვესტიციო ქონებაში, იმის მიხედვით თუ როგორ გეგმავს ჯგუფი მის გამოყენებას და მისი ხელახლა გაზომვა და აღრიცხვა ხდება შესაბამისი ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად.

ჯგუფი აფასებს გასაყიდად გამიზნულ გრძელვადიან აქტივებს საბალანსო ღირებულებასა და გაყიდვის თანხებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას შორის უმცირესით.

5.8 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია კანონმდებლობასთან შესაბამისად, რომელიც მოქმედებას ან ამოქმედდა პერიოდის ბოლოს საქართველოში. მოგების გადასახადის ზარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებს და ასახულია მოგება ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი აისახებიან უშუალოდ სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, ვინაიდან ისინი დაკავშირებული არიან გარიგებებთან, რომლებიც, იგივე ან სხვა პერიოდით, ასევე ასახული არიან უშუალოდ სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

მიმდინარე გადასახადი წარმოადგენს იმ გადასახდელ თანხას, რომლის გადახდა ან დაბრუნება უნდა მოხდეს საგადასახდო ორგანოებთან მიმდინარე და გასული პერიოდების განმავლობაში დასაბეგრ მოგებასა თუ ზარალთან დაკავშირებით. დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეყრდნობა შეფასებებს თუ ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია საგადასახდო დეკლარაციის შევსებამდე. გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აღირიცხება აღმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება საბალანსო ვალდებულების მეთოდის გამოყენებით. აქტივების საგადასახდო (დასაბეგრ) ბაზასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენებ მათ საბალანსო ღირებულებას შორის ყველა დროებით განსხვავებაზე გადავადებული მოგების გადასახადის განსაზღვრა ხდება საქართველოს საგადასახდო კანონმდებლობის მიერ ბალანსის თარიღისათვის დადგენილი განაკვეთებით და იმ განაკვეთის გათვალისწინებით, რომელიც ივარაუდება, რომ დადგენილი იქნება მაშინ, როდესაც მოხდება გადავადებული მოგების გადასახადის შესაბამისი აქტივის რეალიზება ან ვალდებულების დაფარვა. გადავადებული მოგების გადასახადის აქტივის აღიარება ხდება იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც მოსალოდნელია, რომ ჯგუფს მომავალში ექნება დასაბეგრი მოგება, რომლის საპირისპიროდ შესაძლებელი იქნება დროებითი სხვაობების გამოყენება.

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა განხორციელა საგადასახდო კოდექსში ცვლილებები და მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ. აღნიშნული ცვლილება ცნობილია როგორც მოგების გადასახადის ესტონური მოდელი. კანონში ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება ყველა ოურიდიული პირზე, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა (კომერციული ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა 2023 წლის 1 იანვრიდან. ამ მოდელის მიხედვით მოხდა დაბეგრის მომენტის გადატანა მოგების გამოუმუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე და შესაბამისად ძირითად დაბეგრის ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება (აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგება). ამ მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრა ხდება 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრა 15%-იანი მოგების გადასახადით.

შენიშვნა 5 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

5.9 არაფინანსური აქტივების გაუფასურება

არაფინანსური აქტივები, რომლებიც ჯგუფის შემთხვევაში წარმოადგენს ძირითად საშუალებებსა და გასაყიდად გამიზნულ გრძელვადიან აქტივებს, ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის გადაფასდება გაუფასურების ნებისმიერი ნიშნის არსებობისას.

გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მაშინ, როცა აქტივის ან მისი ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას.

აქტივების ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორი ღირებულებიდან უფრო დიდი: აქტივის გამოყენების ღირებულება და მისი სამართლიანი ღირებულება რეალიზაციის ზარჯების გამოკლებით. გამოყენების ღირებულების შეფასებისას გამოიყენება საანგარიშო ფულადი ნაკადები დისკონტირდება მათ მიმდინარე ღირებულებამდე, დაბეგვრამდე არსებული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. იმ აქტივთან დაკავშირებით, რომელსაც არ შემოაქვს ფულადი ნაკადები, ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ფულადი ნაკადების წარმომქმნელი იმ ერთეულისათვის, რომელსაც აღნიშნული აქტივი მიეკუთვნება.

არაფინანსურ აქტივებთან დაკავშირებული გაუფასურების ყველა ზარალი აისახება მოგებაში ან ზარალში და კორექტირდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრისას გამოყენებულ მონაცემებში მოხდა ცვლილება. კორექტირებული გაუფასურების ზარალი კორექტირდება მხოლოდ იმ ზომით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულებამ არ გადააჭარბოს მის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა ცვეთისა თუ ამორტიზაციის გამოქვითვით, თუ არ მოხდებოდა გაუფასურების ზარალის აღიარება.

5.10 მიღებული სესხები

მიღებული სესხები აღიარდება მათი ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეოთხდით. მიღებულ სესხებთან დაკავშირებული ზარჯები აღიარდება როგორც ზარჯი იმ პერიოდის მოგება/ზარალის ანგარიშგებაში, რა პერიოდშიც ეს ზარჯები წარმოიშვა.

5.11 სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით და შემდგომში გამოითვლება ამორტიზებული ზარჯით.

5.12 საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებაში. კომპანიის წესდებაში ცვლილება (ცვლილება საწესდებო კაპიტალში, საკუთრებაში, ა.შ.) ხდება კომპანიის პარტნიორობა გადაწყვეტილებით. კაპიტალი აღიარდება, როგორც კომპანიის საწესდებო კაპიტალი იმდენად, რამდენადაც ეს რეალურად პარტნიორობა შენატანია.

5.13 საპროცენტო შემოსავლის და ზარჯის აღიარება

საპროცენტო შემოსავალი და ზარჯი აისახება ყველა სავალო ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეოთხდის გამოყენებით. ეს მეთოდი, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშებისთვის ითვალისწინებს ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა სახის გადასახდელს, მათ შორის ტრანზაქციის დანახარჯებს, ფასნამატებსა და ფასდაკლებებს, რომლებიც წარმოადგენენ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი მოსაკრებლები მოიცავენ გაცემის საკომისიოს, რომელიც მიიღება ან გადახდებიან პირის მიერ ფინანსური აქტივის შექმნასთან ან შექმნასთან დაკავშირებით, ან ფინანსური ვალდებულების გამოცემასთან დაკავშირებით, მაგ. კრედიტუნარიანობის შეფასების საფასური, გარანტიების ან გირაოს შეფასება და გატარება, ინსტრუმენტის პირობების მოლაპარაკება და ოპერაციის დოკუმენტების დამუშავება.

5.14 მოსაკრებლები, საკომისიოები, სხვა შემოსავლები და ზარჯები

ყველა სხვა მოსაკრებელი და საკომისიო, ასევე სხვა შემოსავლები და ზარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით კონკრეტული ოპერაციის დასრულებასთან მიმართებაში, რომელიც ფასდება ფაქტობრივად უზრუნველყოფილი მომსახურების საფუძველზე, როგორც მისაწოდებული სრული მომსახურების შემადგენელი ნაწილი.

საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებული ზარჯები აღიარდება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის გამოყენებით საოპერაციო იჯარის ვადის ამოწურვამდე.

შენიშვნა 5 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

5.15 უცხოური ვალუტის გადაფასება

უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგებები აღირიცხება იმ გაცვლითი კურსის შესაბამისად, რომელიც არსებობს ოპერაციის თარიღისათვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი გაცვლითი კურსის სხვაობები აისახება მოგება-ზარალის უწყისში იმ დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ქართულ ლარში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისათვის გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. 2017 წლის 31 დეკემბრისათვის უცხოური ვალუტის ნაშთების ლარებში გადაყვანისათვის გამოყენებული ძირითადი განაკვეთი იყო:

	31-დეკ-18	31-დეკ-17
აშშ დოლარი	2.6766	2.5922
ევრო	3.0701	3.1044
თურქული ლირა	0.5076	0.6874
რუსული რუბლი	0.0386	0.0449

5.16 ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები (გაცემული სესხები და მოთხოვნები) და ვალდებულებები (მიღებული სესხები და ვალდებულებები) ურთიერთგადაფარება და აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა თანხით მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის კანონიერი უფლება და არსებობს განზრახვა იმისა, რომ აღნიშნული თანხები ანაზღაურდეს წმინდა ღირებულებით ან მოხდეს აქტივების და ვალდებულებების ანაზღაურება ერთდროულად.

შემოსავლების და ხარჯების ურთიერთგადაფარვა არ ხდება, თუ ის არ მოითხოვება და ნებადართული არ არის ფას-ის მიხედვით და არ არის თანდართული ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკაში.

შენიშვნა 6 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები

სააღრიცხვო პოლიტიკის შედგენისას, ჯგუფის მენეჯმენტს მოეთხოვება გააკეთოს დაშვებები და შეფასებები აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, რომლებიც ცალსახად ზუსტად ვერ განისაზღვრება სხვა წყაროებიდან.

შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა ისტორიულ გამოცდილებას და სხვა დაკავშირებულ ფაქტორებს. რეალური შედეგები ამ შეფასებებისგან შეიძლება განსხვავდებოდეს. დაშვებები და შეფასებები მუდმივად გადაიხედება. შეფასებების გადახედვა აისახება იმ პერიოდისათვის, როცა ის განხორციელდა, თუ გადახედვა ზემოქმედებს მიმდინარე და მომდევნო პერიოდებზე.

ქვემოთ მოცემულია მნიშვნელოვანი შეფასებები მომავალზე და სხვა ძირითადი წყაროები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის, რომლებიც შეიცავენ დიდ რისკს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების კორექტირება მომდევნო საანგარიშგებო პერიოდისათვის.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა – ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება ეფუძნება მენეჯმენტის გამოცდილებას მსგავსი აქტივების შეფასებასთან მიმართებაში. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას მენეჯმენტი ითვალისწინებს სავარაუდო გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ გაუმართაობას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, სადაც ამ აქტივს უხდება მუშაობა. შეფასებებში ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს მომავალში ცვეთის ხარჯის კორექტირება.

სესხის გაუფასურების ხარჯი - ჯგუფი სესხების და მოთხოვნების ამოღებადობის შეფასებას აკეთებს გამოცდილებაზე და მენეჯმენტის მსჯელობებზე დაყრდნობით და როდესაც დასკვნის, რომ ჯგუფი სავარაუდოდ მთლიანად ვერ მიიღებს მისაღებ თანხებს მაშინ აღიარებს გაუფასურების ხარჯს. ამგვარად სესხების გაუფასურების ხარჯი დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე და მსჯელობებზე და შესაძლოა რეალური დანახარჯები განსხვავდებოდეს იმისგან, რასაც მენეჯმენტი ამ ანგარიშგებაში წარადგენს.

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო, საავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა იძლევა სხვადასხვაგვარად ინტერპრეტირების საშუალებას. ჯგუფის მენეჯმენტი აღიარებს ვალდებულებებს მოსალოდნელი დამატებითი საგადასახადო გაანგარიშებებისთვის საგადასახადო აუდიტის შეფასებების შედეგის საფუძველზე, არის თუ არა იმის ალბათობა, რომ ჯგუფს დაეკისრება დამატებითი გადასახადები. როცა საბოლოო საგადასახადო შედეგები განსხვავდება თავდაპირველად აღრიცხული რაოდენობისგან, ეს სხვაობები გავლენას ახდენენ იმ პერიოდზე, როცა აღნიშნული განსაზღვრებები გაკეთდა.

უზრუნველყოფის საგნის რეალური ღირებულების შეფასება - მენეჯმენტი რეგულარულად განიხილავს უზრუნველყოფის საგნის საბაზრო ღირებულებას. მენეჯმენტი იყენებს საკუთარ გამოცდილებას რეალური ღირებულების დასაკორექტირებლად. უზრუნველყოფის მოცულობა დამოკიდებულია მსესხებლის საკრედიტო რისკზე.

შპს მისო ლიდერკრედიტი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა 7 ფული და ფულის ეკვივალენტები		შენიშვნა	31-დეკ-18	31-დეკ-17
	ნაღდი ფული	7.1	1,013,308	743,266
	ფული ბანკში	7.1	5,033,097	1,269,024
	სულ		6,046,405	2,012,290

7.1 ფული და ფულის ეკვივალენტები ვალუტების მიხედვით

	31-დეკ-18	31-დეკ-17
ქართული ლარი (GEL)	3,001,206	1,271,245
აშშ დოლარი (USD)	2,461,589	530,476
ევრო (EUR)	384,898	125,469
თურქული ლირა (TRY)	11,388	9,504
რუსული რუბლი (RUR)	187,324	75,596
სულ	6,046,405	2,012,290

ჯგუფის ფულადი სახსრების უმეტესობა არის იმ ბანკებში, რომლებიც Fitch-ის მიერ შეფასებულია როგორც "BBB"-ის და "B+"-ის მქონე (გრძელვადიანი რეიტინგი).

შენიშვნა 8 გაცემული სესხები

ჯგუფი სესხებს გასცემს ძირითადად ფიზიკურ პირებზე, ნებისმიერი მიზნობრივობით. ძირითადად ჯგუფი სესხებს გასცემს აშშ დოლარში 1 თვიდან 5 წლამდე ვადით. გაცემული სესხების წლიური პროცენტი ძირითადად მერყეობს 24 პროცენტიდან 30 პროცენტამდე. დაფარვის გრაფიკის მიხედვით გაცემული სესხები 2 ჯგუფად იყოფა: სესხის ძირის ვადის ბოლოს დაფარვით და ანუიტეტის პრინციპით. გაცემული სესხები უზრუნველყოფილია უძრავი ქონებით, ოქროთი და ავტომობილით, თუმცა გვხვდება არაუზრუნველყოფილი სესხებიც.

	შენიშვნა	31-დეკ-18	31-დეკ-17
იპოთეკური სესხი		12,933,409	12,288,533
ავტო ლომბარდი		366,161	491,001
ოქროს ლომბარდი		1,374,764	430,245
ბიზნეს სესხი		9,287,678	11,788,056
დარიცხული პროცენტი		1,131,150	870,375
მთლიანი გაცემული სესხები	8.1	25,093,162	25,868,210
<i>მინუს: გაუფასურების რეზერვი</i>	<i>8.4</i>	<i>(3,775,509)</i>	<i>(4,151,016)</i>
წმინდა გაცემული სესხები		21,317,653	21,717,194

8.1 მთლიანი სასესხო პორტფელი ძირის და დარიცხული პროცენტის მიხედვით

	31-დეკ-18	31-დეკ-17
სესხის ძირი	23,962,012	24,997,835
დარიცხული პროცენტი	1,131,150	870,375
მთლიანი სასესხო პორტფელი	25,093,162	25,868,210

8.2 გაცემული სესხის ძირის განაწილება სესხის ვადიანობის მიხედვით

	31-დეკ-18	31-დეკ-17
1 წელზე ნაკლები	14,765,772	16,780,063
1-დან 3 წლამდე	6,867,954	6,640,738
3-დან 5 წლამდე	1,913,678	1,326,232
5 წელზე მეტი	414,608	250,802
სულ გაცემული სესხის ძირი	23,962,012	24,997,835

შენიშვნა 8 გაცემული სესხები (გაგრძელება)

8.3 უზრუნველყოფის ანალიზი

ჯგუფის მიერ გაცემული სესხები უზრუნველყოფილია უძრავი ქონებით (მიწა, შენობა), ავტომობილით, ოქროთი.

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს სესხის ძირის ნაშთების ანალიზს (სესხების გაუფასურების რეზერვის გამოკლების გარეშე) მათი შესაბამისი უზრუნველყოფის სამართლიან ღირებულებებთან მიმართებაში (გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით: რეალურ ღირებულებას გამოკლებული გირაოს გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები):

	31-დეკ-18		31-დეკ-17	
	სესხის მიმდინარე ღირებულება	უზრუნველყოფის ს FVLCS *	სესხის მიმდინარე ღირებულება	უზრუნველყოფის ს FVLCS *
იპოთეკური სესხი	9,238,558	67,102,131	12,288,533	52,307,382
ავტო ლომბარდი	366,160	2,806,271	491,001	3,048,314
ოქროს ლომბარდი	1,374,764	1,808,240	430,245	635,112
ბიზნეს სესხი	12,982,530	29,078,570	11,788,056	58,460,328
სულ	23,962,012	100,795,212	24,997,835	114,451,136

* FVLCS - უზრუნველყოფის რეალურ ღირებულებას გამოკლებული გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები

8.4 სესხების გაუფასურების რეზერვი

მოუხდავად იმისა, რომ ჯგუფის მიერ გაცემული ძირითადი სესხები უზრუნველყოფილია უძრავი ქონებით, ავტომობილით, მსესხებლისგან (ან მესამე პირისგან) მიღებული კრედიტით, გარანტიით, ძვირფასი ლითონებით/ქვებით ან ანტიკვარით, მენეჯმენტს მიზანშეწონილად მაინც სესხების ვადაგადაცილების ხანგრძლივობის მიხედვით საეჭვო ვალების რეზერვის შექმნა. ამ რეზერვის დეტალები მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში:

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ვადაგადაცილებული დღეები		სესხის თანხა	რეზერვის თანხა
0	2%	18,019,646	356,359
1-30	5%	1,120,174	55,997
31-60	10%	1,288,991	128,899
61-90	25%	190,311	47,578
91-120	50%	177,914	88,957
120-180	75%	269,023	201,767
180<	100%	2,895,953	2,895,952
სულ		23,962,012	3,775,509

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ვადაგადაცილებული დღეები		სესხის თანხა	რეზერვის თანხა
0	2%	19,840,635	332,157
1-30	5%	985,019	44,987
31-60	10%	331,212	33,071
61-90	25%	272,521	68,130
91-120	50%	439,634	218,967
120-180	75%	324,195	237,685
180<	100%	2,804,619	3,216,019
სულ		24,997,835	4,151,016

შენიშვნა 8 გაცემული სესხები (გაგრძელება)

8.4 სესხების გაუფასურების რეზერვი (გაგრძელება)

ცვლილება სესხის გაუფასურების რეზერვში

	31-დეკ-18	31-დეკ-17
ბალანსი ნაშთი 1 იანვრისთვის	4,151,016	3,744,277
პლოუს: მიმდინარე პერიოდის საეჭვო სესხები	6,247,026	4,267,358
მინუს: მიმდინარე პერიოდში ჩამოწერილი უიმედო სესხები	(120,139)	(6,759)
მინუს: აღდგენილი საეჭვო სესხები	(6,514,590)	(3,797,024)
გადაფასების შედეგი	12,196	(56,836)
ნაშთი 31 დეკემბრისთვის	3,775,509	4,151,016

8.5 გაცემული სესხები ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით

	2018		2017	
	თანხა	%	თანხა	%
სამომხმარებლო სესხები	4,795,215	20%	6,715,130	27%
ტრანსპორტირება და კავშირგაბმულობა	3,280	0%	24,720	0%
ვაჭრობა და მომსახურება	12,641,200	53%	8,544,907	34%
დანარჩენი სფეროები	6,522,317	27%	9,713,078	39%
ნაშთი წლის ბოლოს	23,962,012	100%	24,997,835	100%

შენიშვნა 9 საგადასახადო აქტივები

	31-დეკ-18	31-დეკ-17
მოგების გადასახადი	-	274,966
ქონების გადასახადი	-	9,871
საშემოსავლო გადასახადი	-	5,360
სულ	-	290,197

შპს მისო ლიდერკრედიტი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა 10 ძირითადი საშუალებები

2018 წელი

	კომპიუტერული ტექნიკა	ავეჯი და მოწყობილობები	სხვა აქტივები (ძირ. საშ.)	იჯარით აღებულ ობიექტზე გაწეული კაპ. დანახარჯები	სულ
ისტორიული ღირებულება					
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	281,238	101,050	184,358	170,830	737,476
დამატებები	83,141	17,484	11,246	2,760	114,631
გასვლები	(6,707)	(272)	-	-	(6,979)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	357,672	118,262	195,604	173,590	845,128
აკუმულირებული ცვეთა					
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	(117,920)	(37,661)	(61,780)	(58,191)	(275,552)
პერიოდის ცვეთა	(35,894)	(13,316)	(23,363)	(22,942)	(95,515)
გასვლები	4,115	187	-	-	4,302
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისათვის	(149,699)	(50,790)	(85,143)	(81,133)	(366,765)
ნარჩენი ღირებულება					
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	163,317	63,389	122,578	112,639	461,924
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	207,973	67,472	110,461	92,457	478,363

2017 წელი

	კომპიუტერული ტექნიკა	ავეჯი და მოწყობილობები	სხვა აქტივები	იჯარით აღებულ ობიექტზე გაწეული კაპ. დანახარჯები	სულ
ისტორიული ღირებულება					
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრისთვის	204,422	81,978	117,093	127,469	530,961
დამატებები	76,816	19,072	70,454	43,361	209,704
გასვლები	-	-	(3,189)	-	(3,189)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	281,238	101,050	184,358	170,830	737,476
აკუმულირებული ცვეთა					
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრისთვის	(87,205)	(24,303)	(40,281)	(39,266)	(191,055)
პერიოდის ცვეთა	(30,715)	(13,358)	(23,142)	(18,925)	(86,140)
გასვლები	-	-	1,643	-	1,643
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისათვის	(117,920)	(37,661)	(61,780)	(58,191)	(275,552)
ნარჩენი ღირებულება					
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრისთვის	117,217	57,675	76,812	88,203	339,906
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	163,318	63,389	122,578	112,639	461,924

შპს მისო ლიდერკრედიტი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ასსნა-განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა 11 არამატერიალური აქტივები

2018 წელი	პროგრამული უზრუნველყოფა	სულ არამატერიალური აქტივები
ისტორიული ღირებულება		
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	245,150	245,150
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	245,150	245,150
აკუმულირებული ცვეთა		
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	(98,752)	(98,752)
პერიოდის ცვეთა	(22,268)	(22,268)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისათვის	(121,020)	(121,020)
ნარჩენი ღირებულება		
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	146,398	146,398
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	124,130	124,130
2017 წელი	პროგრამული უზრუნველყოფა	სულ არამატერიალური აქტივები
ისტორიული ღირებულება		
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრისთვის	223,775	223,775
დამატებები	21,375	21,375
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	245,150	245,150
აკუმულირებული ცვეთა		
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრისთვის	(76,142)	(76,142)
პერიოდის ცვეთა	(22,610)	(22,610)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისათვის	(98,752)	(98,752)
ნარჩენი ღირებულება		
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრისთვის	147,633	147,633
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	146,398	146,398

შპს მისო ლიდერკრედიტი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა 12 გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები

გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები მოიცავს ქ. თბილისში და რეგიონებში არსებულ აქტივებს რომელთა რეალიზაცია მენეჯმენტს გამიზნული აქვს უახლოესი 12 თვის განმავლობაში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ამ აქტივების გაყიდვა ღირს ალბათობით განხორციელდება და დაწყებული აქვს აქტივის გაყიდვასთან დაკავშირებული პროცედურები.

გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები ბალანსში წარმოდგენილია საბალანსო ღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

შენიშვნა 13 გადავადებული და მიმდინარე მოგების გადასახადი

გადავადებული გადასახადის კომპონენტები: აქტივი/(ვალდებულება)

	31-დეკ-18	31-დეკ-17
ძირითადი საშუალებები	(8,332)	(39,063)
არამატერიალური აქტივები	(909)	(4,563)
ჯარიმებიდან მისაღები თანხები	(53,540)	(28,799)
მიღებული სესხები	27,278	49,328
გადავადებული საგადასახადო აქტივი / (ვალდებულება)	(35,503)	(23,097)

გადასახადების გადავადების მიზეზები მოკლედ ქვემოთ არის მოცემული:

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები - საქართველოს საგადასახადო კოდექსს და ფასს-ს შორის არსებობს გარკვეული განსხვავებები აქტივების აღიარების კრიტერიუმებში, ცვეთა/ამორტიზაციის მეთოდებში, სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრაში და გაუფასურების ზარალის აღიარებაში, რომლებიც წარმოშობს განსხვავებებს ფასს-ის მიერ განსაზღვრულ ძირითადი საშუალებების/არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებსა და ამ აქტივების საგადასახადო ბაზას შორის. ეს სხვაობები წარმოშობს გადავადებულ გადასახადებს. ასევე, ზოგიერთი ძირითადი საშუალების ჩამოწერა, რომელიც ასახულია ფასს-ის მიხედვით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ერთ პერიოდში შეიძლება გამოიქვეყნოს საგადასახადო მიზნებისთვის მხოლოდ შემდგომ პერიოდში, როცა მოხდება კონკრეტული აღმინისტრაციული პროცედურების დასრულება.

ჯარიმებიდან მისაღები თანხები - საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო და სხვა ჯარიმები აღირიცხება საკასო მეთოდით, ფასს-ის მიხედვით კი მათი აღიარება უნდა მოხდეს დარიცხვის მეთოდით. აქედან გამომდინარე, წარმოიქმნება გადავადებული საგადასახადო ვალდებულება.

მიღებული სესხები - არარეზიდენტი კომპანიებისა და ფიზიკური პირებისგან მიღებული სესხების საპროცენტო ხარჯები გამოიქვეყნება საგადასახადო მიზნებისათვის საკასო მეთოდით, ანუ მათი გადახდისას. თუმცა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია დარიცხვის მეთოდის გამოყენებით.

ცვლილება გადავადებულ გადასახადში წლის განმავლობაში	2018 წელი	2017 წელი
წლის დასაწყისი - აქტივი (ვალდებულება)	(23,097)	(28,232)
ცვლილება წლის განმავლობაში - სარგებელი /(ხარჯი)	(12,406)	5,135
წლის ბოლოს	(35,503)	(23,097)
მიმდინარე წლის მოგების გადასახადის ხარჯი	2018 წელი	2017 წელი
ნორმატიული საგადასახადო ხარჯი	(860,410)	(712,029)
ეფექტი გადავადებულ გადასახადზე	(12,406)	5,135
სულ მოგების გადასახადისგან (ხარჯი)/სარგებელი	(872,816)	(706,894)

შპს მისო ლიდერკრედიტი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა	14	სხვა აქტივები	31-დეკ-18	31-დეკ-17
		სხვა მოთხოვნები	102,942	100,695
		მისაღები ჯარიმები და საკომისიოები	450,678	191,995
		სხვა აქტივები	-	287
		სულ	553,620	292,977

შენიშვნა	15	მიღებული სესხები	31-დეკ-18	31-დეკ-17
		დამფუძნებლებისაგან მიღებული სესხები	5,746,732	3,658,016
		სესხები კომერციული ბანკებიდან	-	1,813,506
		სხვა პირებისგან მიღებული სესხები	2,363,620	4,826,750
		გადასახდელი პროცენტი	532,808	350,587
		სულ	8,643,160	10,648,859

ვგუფს მიღებული აქვს სესხები დამფუძნებლებისგან, დაკავშირებული მხარეებისგან და სხვა არადაკავშირებული ფიზიკური და იურიდიული პირებისგან (მათ შორის ბანკებისგან). სესხების აღება ძირითადად ხდება აშშ დოლარში წლიური 9%-12% საპროცენტო განაკვეთით. სასესხო ზელშეკრულებების მიხედვით საპროცენტო განაკვეთები ფიქსირებულია, თუმცა მომავალში შესაძლოა შეიცვალოს. სესხის საკონტრაქტო ხანგრძლივობა მერყეობს 1-დან 3 წლამდე, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში, მხარეებს შორის მოლაპარაკების საფუძველზე შეიძლება კიდევ უფრო გახანგრძლივდეს.

მიღებული სესხის ძირი და პროცენტის თანხების განაწილება გადიანობის მიხედვით

	31-დეკ-18	31-დეკ-17
1 წელზე ნაკლები	8,643,160	8,825,665
1-დან 3 წლამდე	-	1,823,194

სულ მიღებული სესხები	8,643,160	10,648,859
-----------------------------	------------------	-------------------

შემდეგი ცხრილები აჩვენებს აღებული სესხების ძირი თანხის ცვლილებებს პერიოდში:

	იურიდიული პირები	ფიზიკური პირები	სულ
2018 წელი			
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,823,194	8,825,665	10,648,859
მიღებული სესხის ძირის თანხა	-	4,093,656	4,093,656
დარიცხული პროცენტი	76,238	1,047,858	1,124,096
გადახდილი ძირი	(1,754,708)	(4,763,707)	(6,518,415)
გადახდილი პროცენტი	(86,242)	(873,374)	(959,616)
საკურსო სხვაობა	(58,482)	313,062	254,580
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	8,643,160	8,643,160

	იურიდიული პირები	ფიზიკური პირები	სულ
2017 წელი			
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	690,274	9,470,236	10,160,510
მიღებული სესხის ძირის თანხა	1,920,000	2,577,474	4,497,474
დარიცხული პროცენტი	93,615	974,768	1,068,383
გადახდილი ძირი	(905,815)	(2,884,785)	(3,790,600)
გადახდილი პროცენტი	(83,927)	(1,031,969)	(1,115,896)
საკურსო სხვაობა	109,047	(280,059)	(171,010)
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,823,194	8,825,665	10,648,859

შპს მისო ლიდერკრედიტი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარში

შენიშვნა 16 გადასახდელი გადასახადები

	31-დეკ-18	31-დეკ-17
გადასახდელი მოგების გადასახადი	57,127	-
სხვა გადასახადები	-	484
სულ	57,127	484

შენიშვნა 17 საწესდებო კაპიტალი

შპს მისო ლიდერკრედიტის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია ლარში კომპანიის წესდების თანახმად. დამტკიცებული და განაღდებული საწესდებო კაპიტალი 2018 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგენს 5,300,000 ლარს.

შენიშვნა 18 საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2018 წელი	2017 წელი
პერსონალის ხარჯები	1,502,263	1,302,774
იჯარის ხარჯები	460,478	454,345
სხვა საერთო ხარჯები	148,530	145,425
კომუნალური ხარჯები	130,849	120,440
ცვეთა და ამორტიზაცია	117,783	106,923
იურიდიული და საკონსულტაციო ხარჯები	51,175	51,670
დაცვის ხარჯები	49,270	49,199
რეკლამა	136,137	29,912
მიწვლინება და წამომადგენლობითი ხარჯები	16,793	21,179
საოფისე ხარჯები (იჯარა, ინვენტარი და ა.შ.)	36,111	19,453
საკანცელარიო ხარჯები	39,025	17,462
სატრანსპორტო საშუალებების იჯარა და შენახვის ხარჯები	6,947	7,275
საგადასახადო ხარჯები	6,429	4,097
საფოსტო-სატელეგრაფო ხარჯები	5,856	391
დაზღვევის ხარჯები	753	-
სულ	2,708,399	2,330,545

შენიშვნა 19 ფინანსური რისკების მართვა

19.1 სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის სავალუტო კურსის მერყეობის რისკი, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს ჯგუფის ფინანსური მდგომარეობაზე და მომგებიანობაზე. სავალუტო რისკი წარმოიშობა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივებისა და ვალდებულებებისგან.

ჯგუფს გააჩნია უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები - კომპანიის მიერ სესხების გაცემა და სესხის მიღება ძირითადად ზღვება აშშ დოლარში, თუმცა მცირე შემთხვევაში გაცემულია ასევე ევროშიც. აქედან გამომდინარე, სავალუტო კურსის ცვლილება შესაძლოა მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს ჯგუფისათვის.

მენეჯმენტი აკონტროლებს სავალუტო რისკს, იმით, რომ ცდილობს აქტივები და ვალდებულებები ერთი და იმავე ვალუტაში ჰქონდეს. ჯგუფი სესხს ძირითადად გასცემს აშშ დოლარში და ამიტომ თავადაც სესხებს ძირითადად იღებს აშშ დოლარში.

ქვემოთ მოცემულია ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ცხრილი ვალუტების მიხედვით (შესაბამისი ეკვივალენტებით ლარში). ინვესტიციები არაფულად აქტივებში არ წარმოშობს სავალუტო რისკებს.

2018 წლის 31 დეკემბრისათვის	ლარი	დოლარი 1 დოლარი = 2.6766 ლარს	ევრო 1 ევრო = 3.0701 ლარს	სხვა ვალუტები	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	3,001,206	2,461,589	384,898	198,712	6,046,405
გაცემული სესხები	11,908,248	9,409,405	-	-	21,317,653
სხვა აქტივები	553,620	-	-	-	553,620
სულ	15,463,074	11,870,994	384,898	198,712	27,917,678
ფინანსური ვალდებულებები					
მიღებული სესხები	894,208	7,748,952	-	-	8,643,160
სხვა ვალდებულებები	62,450	6,085	-	-	68,535
სულ	956,658	7,755,037	-	-	8,711,695
წმინდა სავალუტო პოზიცია	14,506,417	4,115,957	384,898	198,712	
2017 წლის 31 დეკემბრისათვის	ლარი	დოლარი 1 დოლარი = 2.5922 ლარს	ევრო 1 ევრო = 3.1044 ლარს	სხვა ვალუტები	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,271,245	530,476	125,469	85,100	2,012,290
გაცემული სესხები (წმინდა)	11,188,027	10,501,429	27,738	-	21,717,194
სხვა აქტივები	292,977	-	-	-	292,977
სულ	12,752,249	11,031,905	153,207	85,100	24,022,461
ფინანსური ვალდებულებები					
მიღებული სესხები	894,287	9,754,572	-	-	10,648,859
სხვა ვალდებულებები	6,835	85,303	23	-	92,161
სულ	901,122	9,839,875	23	-	10,741,020
წმინდა სავალუტო პოზიცია	11,851,127	1,192,030	153,184	85,100	

შენიშვნა 19 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

19.1 საფალუტო რისკი (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ლარის მიმართ უცხოური ვალუტის კურსში ცვლილებების ზეგავლენის ანალიზი ჯგუფის სრული შემოსავლების ანგარიშგებაზე სხვა ცვლადების უცვლელი დროს. უარყოფითი თანხები წარმოადგენს წმინდა შემცირებას სრული შემოსავლების ანგარიშგებაში ან კაპიტალში, დადებითი თანხები კი ასახავს წმინდა შესაძლო ზრდას. საბაზისო ვალუტა არის ლარი. ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში.

ვალუტა	ცვლილება კურსში	2018 წელი		2017 წელი	
		გავლენა მოგებაზე	გავლენა კაპიტალზე	გავლენა მოგებაზე	გავლენა კაპიტალზე
აშშ დოლარი	-10%	(411,596)	(349,856)	(119,203)	(101,323)
	-5%	(205,798)	(174,928)	(59,602)	(50,661)
	5%	205,798	174,928	59,602	50,661
	10%	411,596	349,856	119,203	101,323

19.2 ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს დროულად მის მიმართ არსებული ვალდებულებების დაფარვას. ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის შეუსაბამობისას.

მენეჯმენტი ასეთი ტიპის რისკების მართვას ახდენს ვადიანობის ანალიზით, განსაზღვრავს რა ჯგუფის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისათვის. იმისათვის, რომ მართოს ლიკვიდურობის რისკი, ჯგუფი ახდენს მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების მუდმივ მონიტორინგს, რაც აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილია.

შენიშვნა 19 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

19.2 ლიკვიდურობის რისკი (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს ვადიანობის ანალიზს ჯგუფის არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე ღარიანი საკონტრაქტო ვადების მიხედვით. ქვემოთ წარმოდგენილი მონაცემები ეფუძნება ჯგუფის ხელმძღვანელობის მიმართ მიწოდებულ ინფორმაციას.

2018 წლის 31 დეკემბრისათვის	1 წელზე ნაკლები ვადის მქონე	1-დან 3 წლამდე ვადის მქონე	3-დან 5 წლამდე ვადის მქონე	5 წელზე მეტი ვადის მქონე	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	6,046,405	-	-	-	6,046,405
გაცემული სესხები (წმინდა)	5,560,439	13,678,651	2,078,563	-	21,317,653
საგადასახადო აქტივები	-	-	-	-	-
სხვა აქტივები	553,620	-	-	-	553,620
სულ	12,160,464	13,678,651	2,078,563	-	27,917,678
ფინანსური ვალდებულებები					
მიღებული სესხები	8,643,160	-	-	-	8,643,160
გადასახდელი გადასახადები	57,127	-	-	-	57,127
სხვა ვალდებულებები	68,537	-	-	-	68,537
სულ	8,768,824	-	-	-	8,768,824
ლიკვიდურობის სხვაობა	3,391,640	13,678,651	2,078,563	-	19,148,854
წმინდა ლიკვიდურობის სხვაობა	3,391,640	17,070,291	19,148,854	19,148,854	

2017 წლის 31 დეკემბრისათვის	1 წელზე ნაკლები ვადის მქონე	1-დან 3 წლამდე ვადის მქონე	3-დან 5 წლამდე ვადის მქონე	5 წელზე მეტი ვადის მქონე	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	2,012,290	-	-	-	2,012,290
გაცემული სესხები (წმინდა)	13,499,422	6,640,738	1,326,232	250,802	21,717,194
საგადასახადო აქტივები	290,197	-	-	-	290,197
სხვა აქტივები	292,977	-	-	-	292,977
სულ	16,094,886	6,640,738	1,326,232	250,802	24,312,658
ფინანსური ვალდებულებები					
მიღებული სესხები	8,825,665	1,823,194	-	-	10,648,859
გადასახდელი გადასახადები	484	-	-	-	484
სხვა ვალდებულებები	92,161	-	-	-	92,161
სულ	8,918,310	1,823,194	-	-	10,741,504
ლიკვიდურობის სხვაობა	7,176,576	4,817,544	1,326,232	250,802	13,571,154
წმინდა ლიკვიდურობის სხვაობა	7,176,576	11,994,120	13,320,352	13,571,154	

შენიშვნა 19 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

19.3 საპროცენტო რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საპროცენტო განაკვეთებში ცვლილებებიდან, რომელიც ზეგავლენას მოახდენს ფულად ნაკადებზე ან ფინანსური აქტივების რეალურ ღირებულებებზე. ჯგუფის საოპერაციო შემოსავალი და ფულადი ნაკადები არ არის დამოკიდებული საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებზე, ვინაიდან მიუხედავად იმისა რომ ჯგუფს აქვს მნიშვნელოვანი ოდენობის საპროცენტო განაკვეთის მატარებელი აქტივები და ვალდებულებები, ყველა ამ ინსტრუმენტს აქვს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთები, რომელიც არ არის დამოკიდებული ბაზარზე არსებულ საპროცენტო განაკვეთების მერყეობაზე.

19.4 საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი, როდესაც ერთი მხარის მიერ ფინანსური ინსტრუმენტის ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს მეორე მხარის მიერ ფინანსური დანაკარგების მიღებას. საკრედიტო რისკი წარმოიშობა ფული და ფულის ეკვივალენტებიდან, სესხებიდან და მოთხოვნებიდან. მაქსიმალური საკრედიტო რისკი ჯგუფისათვის საანგარიშგებო თარიღისათვის იყო:

	31-დეკ-18	31-დეკ-17
ფული და ფულის ეკვივალენტები	6,046,405	2,012,290
გაცემული სესხები (წმინდა)	21,317,653	21,717,194
სულ	27,364,058	23,729,484

ჯგუფის ფულადი სახსრები განთავსებულია სანდო ფინანსურ ინსტიტუტებში და მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ არანაირი საკრედიტო რისკი მათ ფულად სახსრებს არ ემუქრება.

გაცემული სესხები არის ერთადერთი მუხლი, რომელიც წარმოშობს საკრედიტო რისკს ჯგუფისათვის. ჯგუფი ამ რისკს მართავს სესხის გაცემის სანაცვლოდ უზრუნველყოფის მოთხოვნით და სესხი/უზრუნველყოფის კოეფიციენტის საკმარისად მაღალ დონეზე შენარჩუნებით, რათა მოხდეს ყველა შესაძლო დანაკარგების რისკის გადაფარვა.

ჯგუფს გააჩნია პოლიტიკა და პროცედურები რისკების სამართავად, მათ შორის საკრედიტო კომიტეტი, რომელიც სასესიო აპლიკაციაში მოცემული ინფორმაციის ანალიზს ახდენს, რაც ამასთანავე აფასებს და ამცირებს საკრედიტო რისკს. საკრედიტო პოლიტიკის გადახედვა და დამტკიცება ხდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

შენიშვნა 20 ფინანსური აქტივები და ვალდებულებები: რეალური ღირებულებები და სააღრიცხვო კლასიფიკაციები

20.1 რეალური ღირებულებები და სააღრიცხვო კლასიფიკაციები

რეალური ღირებულების გამოთვლის მიზანია განისაზღვროს ის ღირებულება, რაც შეფასების თარიღისათვის შეიძლება მიღებული იქნას აქტივის გაყიდვიდან ან გადახდილი იქნას ვალდებულების დასაფარად ჩვეულებრივი ტრანზაქციის პირობებში ბაზრის მონაწილეთა შორის. მიუხედავად ამ მცდელობისა, რომ რეალურმა ღირებულებამ ასახოს ასეთი თანხა (რაც წინა წინადადებაშია ახსნილი), საოპერაციო გარემოსათვის დამახასიათებელი ჩვეულებრივი განუსაზღვრელობების და შეფასებებში შესაძლო სუბიექტური ფაქტორების არსებობის გამო, არ უნდა ვიგულისხმოთ, რომ რეალური ღირებულება ზუსტად ასახავს იმ თანხას რაც შეიძლება აქტივის დაუყოვნებელი გაყიდვის შემთხვევაში იქნას მიღებული ან ვალდებულების დაუყოვნებელი დაფარვისთვის შეიძლება იყოს საჭირო.

ყველა ფინანსური ინსტრუმენტის შეფასებული რეალური ღირებულება დაახლოებით მათი საბალანსო ღირებულების ტოლია. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების რეალური ღირებულება გამოითვლება ფულადი ნაკადების დისკონტირების მეთოდით, რომელიც ეფუძნება მომავალ ფულად ნაკადებს და მსგავსი ინსტრუმენტების დისკონტირების კოეფიციენტს საანგარიშო თარიღისათვის. ჯგუფი იყენებს შეფასების ფართოდ აღიარებულ მოდელებს ჩვეულებრივი და უფრო მარტივი ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების განსაზღვრად, რომლებიც იყენებენ მხოლოდ თვალსაჩინო საბაზრო მონაცემებს და ხელმძღვანელობის მხრიდან მცირედი დაშვებებისა და შეფასებების გამოყენება სჭირდებათ.

შენიშვნა 20 ფინანსური აქტივები და ვალდებულებები: რეალური ღირებულებები და სააღრიცხვო კლასიფიკაციები (გაგრძელება)

20.1 რეალური ღირებულებები და სააღრიცხვო კლასიფიკაციები (გაგრძელება)

ჯგუფი იყენებს შემდეგ დაშვებებს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შეფასებისას:

- ა) 18-48%-იანი დისკონტირების განაკვეთი გამოიყენება კლიენტებზე გაცემული სესხებიდან მისაღები მომავალი ფულადი სახსრების დისკონტირებისთვის;
- ბ) 8-12%-იანი დისკონტირების განაკვეთი გამოიყენება მიღებულ სესხებთან დაკავშირებული მომავალი ფულადი სახსრების გადახდების დისკონტირებისთვის.

20.2 რეალური ღირებულების იერარქია

ჯგუფი იყენებს შემდეგ იერარქიას სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისათვის:

ღონე 1 ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტების კოტირებული (არაკორექტირებული) ფასები მოქმედ ბაზარზე.

ღონე 2 შემაჯავლი მონაცემები გარდა იმისა, რაც პირველ ღონეშია ჩაწერილი და რომლებიც ხელმისაწვდომია როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (ფასებისგან წარმოებული). ეს კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომლებიც შეფასებულია შემდეგი მონაცემების გამოყენებით: აქტიურ ბაზრებზე კოტირებული საბაზრო ფასები მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის; კოტირებული ფასები მსგავსი ინსტრუმენტებისთვის, რაც განიხილება, როგორც ნაკლებად აქტიური; ან შეფასების სხვა მეთოდები, რომლის ფარგლებში ყველა მნიშვნელოვანი შემაჯავლი მონაცემები ხელმისაწვდომია პირდაპირ ან ირიბად საბაზრო მონაცემებიდან გამომდინარე.

ღონე 3 არათვალსაჩინო რესურსები. აღნიშნული კატეგორია შედგება ყველა ინსტრუმენტისგან, რომლის ფარგლებში შეფასების მეთოდიკა მოიცავს მონაცემებს, რომლებიც არ ეფუძნება თვალსაჩინო მონაცემებს და ხელმისაწვდომი შემაჯავლი მონაცემები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ინსტრუმენტის შეფასებაზე. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომელთა შეფასება ხდება მსგავსი ინსტრუმენტებისთვის კოტირებული ფასების საფუძველზე, რომლის ფარგლებში მნიშვნელოვანი არათვალსაჩინო კორექტირებები ან დაშვებებია საჭირო, რათა აისახოს სხვაობები ინსტრუმენტებს შორის.

შენიშვნა 21 კაპიტალის ადეკვატურობა

მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს საქართველოს ეროვნული ბანკი უსაზღვრავს კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნებს. ეროვნული ბანკის მოთხოვნის თანახმად მიკროსაფინანსო ორგანიზაციისთვის კაპიტალის მინიმალური ოდენობა უნდა შეადგენდეს 500 ათას ლარს. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ლიდერკრედიტის საწესდებო კაპიტალი არის 5,300,000 ლარი (2017 წელი: 5,300,000 ლარი), შესაბამისად კომპანია აკმაყოფილებს მინიმალური საწესდებო კაპიტალის მოთხოვნებს.

შენიშვნა 22 დაკავშირებული მხარეები

ზოგადად, მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებული მხარეების ტრანზაქციების და ნაშთების დეტალები საანგარიშგებო პერიოდისათვის მოცემულია ქვემოთ:

ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2018	მიღებული სესხი	გადასახდელი პროცენტი	გადახდილი პროცენტი
მეწილეები	5,746,732	390,091	187,439
უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრები	1,304,470	76,313	279,768
სულ	7,051,202	466,404	467,207

ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2017	მიღებული სესხი	გადასახდელი პროცენტი	გადახდილი პროცენტი
მეწილეები	3,658,016	115,371	226,663
უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრები	2,251,526	130,746	241,530
სულ	5,909,542	246,117	468,193

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან 2018 წელი	იჯარის ხარჯი	საპროცენტო ხარჯი	ხელფასის ხარჯი
მეწილეები	118,500	655,871	45,029
უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრები	-	206,553	224,000
სხვა დაკავშირებული მხარეები	147,572	9,392	-
სულ	266,072	871,816	269,029

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან 2017 წელი	სხვა ხარჯი	იჯარის ხარჯი	საპროცენტო ხარჯი	ხელფასის ხარჯი
მეწილეები	-	110,625	255,728	33,750
უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრები	-	-	256,290	165,468
სხვა დაკავშირებული მხარეები	510	159,833	-	-
სულ	510	270,458	512,018	199,218

შენიშვნა 23 პირობითი ვალდებულებები

23.1 სასამართლო დავები

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში, კომპანია წარმოადგენს სასამართლო პროცესის მხარეს. ანგარიშგების თარიღისათვის, ხელმძღვანელობისათვის არ არის ცნობილი კომპანიის წინააღმდეგ აღძრული, შეჩერებული ან სასამართლოში დავის გადატანის რისკის მქონე დავების შესახებ, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვნად იმოქმედოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე.

შენიშვნა 24 საწარმოს უწყვეტობის განხილვა

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ კომპანიის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვს კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.

შენიშვნა 25 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ბალანსის თარიღის შემდგომ ადგილი არ ჰქონია სხვა ისეთ მოვლენებს, რომლებიც გამოიწვევდა დამატებით შესწორებებს და ცვლილებებს მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში.
